F7.876
4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ერობათა კავშირის კომიტეტის გამოცემა № 2.

# პროექტი

## საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად (ოლქებად)

შემუშავებული დამფუძნებელი კრების თვითმართველობის კომისიის.

განმარტებითი წერილი.—სტატისტიკური ცხრილები.

ქ. ტფილისი.
სახელმწიფო სტამბა.
1920 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი:

1. პროექტი საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალ საადმინ. ერთეულებად . . . . . . . . . . . . . . 2
2. განმარტებითი წერილი. . . . . . . . . . . . . . . 13
3. სტატისტიკური ცხრილები . . . . . . . . . . . . . 53

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პროექტი

საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად (ოლქებად).

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ახალი ადმინისტრატიული ერთეულების სახელწოდება | ადმინისტრატიული ცენტრი | ტერიტორია კვადრატი კილომეტრებით | მოსახლეობა 1917 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცნობების მიხედვით |
|---|---|---|---|
| ა) აღმოსავლეთ საქართველოში: | | | |
| 1. ტფილისის ოლქი. . . . . . | ქ. ტფილისი | 6.248 | 133,253 |
| 2. გორის ოლქი . . . . . . . | ქ. გორი | 6.681 | 217.675 |
| 3. ანანურის ოლქი . . . . . | ს. ანანური | 6.187 | 77.695 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ძველი სამაზრო ერთეულებიდან ახალი ადმინისტრატიული ერთეულების ფარგლებში შედის:**

**ტფილისის მაზრა** (გარდა ქ. ტფილისისა) რომელსაც მოემატება:

1) **დუშეთის მაზრიდან**—მცხეთის ყოფილი საპოლიციო უბანი, გარდა ოთხი სოფლისა: მჭადის-ჯვარის, შუა-ხევის, კოდის-წყაროს, და შუაზოდავის *);

2) **თიანეთის მაზრიდან**—ერწო (სოფლის საზოგადოებანი ერწოსი და საყდრიონისა):

3) **გორის მაზრიდან**—ქვემო-ნიჩბისის სოფლის საზოგადოება.

4) **სიღნაღის მაზრიდან**—სოფლები: ჩაილური და კაკაბეთი.

5) **ბორჩალოს მაზრიდან**—სანდარის რაიონი (მდინარე ხრამის ჩრდილოეთით მდებარე სექტორი, დაწყებული არუხლოდან ვიდრე წითელ ხიდამდე) **).

**გორის მაზრა**—რომელსაც აკლდება:

1) ქვემო-ნიჩბისის სოფლის საზოგადოება (გადადის ტფილისის ოლქში).

2) სოფლები: წონა, ერწო, სისპათანი (გადადის ონის ოლქში).

1) **დუშეთის მაზრა**—გარდა იმ ნაწილისა, რომელიც უერთდება ტფილისის ოლქს (იხ. პუნქტი 1);

2) **თიანეთის მაზრა**—გარდა იმ ნაწილებისა, რომლებიც უერთდება ტფილისის და თელავის ოლქებს (იხ. პუნქტები 1 და 4).

*) ძველი ადმინისტრატიული დანაწილება საპოლიციო უბნებად (полицейскіе участки) და სოფლის საზოგადოებებად იგულისხმება აქ, და ქვემოდაც, იმ სახით, როგორათაც ეს არსებობდა 1917 წლისათვისა (იხ. ადმინისტრატიული ერთეულების ცხრილი 1916 წლისა).

**) ტფილისის და ბორჩალოს ოლქების შესახებ იხილეთ ქვემოთ მეორე ვარიანტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ახალი ადმინისტრატიული ერთეულების სახელწოდება | ადმინისტრატიული ცენტრი | ტერიტორია კვადრატი კილომეტრებით | მოსახლეობა 1917 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცნობების მიხედვით |
|---|---|---|---|
| 4. თელავის ოლქი . . . . . . | ქ. თელავი | 4.670 | 97.193 |
| 5. სიღნაღის ოლქი . . . . . . | ქ. სიღნაღი | 7.291 | 105.811 |
| 6. ახალციხის ოლქი. . . . . | ქ. ახალციხე | 6.087 | 166.237 |
| 7. ბორჩალოს (ქვემო-ქართლის) ოლქი . . . . . . . . . . | ს. ქვეში | 6.556 | 184.722 |
| 8. ქალაქი ტფილისი. . . . . . | — | — | 246.910 |
| ბ) დასავლეთ საქართველოში. | | | |
| 9. ქუთაისის ოლქი . . . . . . | ქ. ქუთაისი | 3.442 | 256.921 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ძველი სამაზრო ერთეულებიდან ახალი ადმინისტრატიული ერთეულების ფარგლებში შედის:**

**თელავის მაზრა**, რომელსაც უერთდება:

1) თიანეთის მაზრიდან — ყოფილი თუშ-კახეთის საპოლიციო უბანი;

2) სიღნაღის მაზრიდან—სოფლები: მუკუზანი, ველისციხე, ზეგაანი და ქერემი.

**სიღნაღის მაზრა**—გარდა იმ ნაწილებისა, რომლებიც უერთდება ტფილისის და თელავის ოლქებს (იხ. პუნქტები 1 და 4).

გარდა ამისა, საზღვრების აღდგენის შემდეგ აზერბეიჯანის მხრით, სიღნაღის მაზრას შეუერთდება:

1) ქვემო-ყარაიას ველები (მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე სექტორი, დაწყებული ფოილოს ხიდიდან—ვიდრე ალაზნის შესართავამდე);

2) წინა-მინდორი (ალაზნის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სექტორი ზაქათალის ოლქისა);

**ახალციხის და ახალქალაქის მაზრები**, და **ფოცხოვის** ყოფილი საპოლიციო უბანი, არტაანის ოლქისა.

**ბორჩალოს მაზრა**—გარდა იმ ნაწილისა, რომელიც უერთდება ტფილისის ოლქს (იხ. პუნქტი 1).

**ქალაქი ტფილისი.**

**ქუთაისის მაზრა**, რომელსაც აკლდება სოფელ სვირის რაიონი: სოფლები—სვირი, როდინოული, სვეტმაღალი (უერთდება ზესტაფონის ოლქს) და ემატება ოზურგეთის მაზრიდან სოფლები ნოღა და ტოლები და სენაკის მაზრიდან ს. გულეიკარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ახალი ადმინისტრატიული ერთეულების სახელწოდება | ადმინისტრატიული ცენტრი | ტერიტორია კვადრატი კილომეტრებით | მოსახლეობა 1917 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცნობების მიხედვით |
|---|---|---|---|
| 10. ზესტაფონის ოლქი. . . . . | ქ. ზესტაფონი | 3.148 | 187.167 |
| 11. ოზურგეთის ოლქი . . . . . | ქ. ოზურგეთი | 2.114 | 114.892 |
| 12. სენაკის ოლქი . . . . . . | ქ. ახალ-სენაკი | 2.380 | 144.282 |
| 13. ზუგდიდის ოლქი. . . . . . | ქ. ზუგდიდი | 2.329 | 115.700 |
| 14. ონის ოლქი: დვალეთის მიუთვლელად . . . . . . . . | ქ. ონი | 2.981 | 85.584 |
| დვალეთის მითვლით . . . | — | 3.581 | 92.584 |
| 15. ცაგერის ოლქი . . . . . . | დ. ცაგერი | 5.162 | 62.978 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ძველი სამაზრო ერთეულებიდან ახალი ადმინისტრატიული ერთეულების ფარგლებში შედის:**

**შორაპნის მაზრა**, რომელსაც ემატება ქუთაისის მაზრიდან სოფელ სვირის რაიონი. (იხ. პუნქტი 9).

**ოზურგეთის მაზრა.** ს. ნოღას და ტოლების გამოკლებით (იხ. პუნ. 9).

**სენაკის მაზრა**, საზღვრების შემდეგი ცვლილებით:

ემატება:

1) ზუგდიდის მაზრიდან—რაიონი, რომელიც მდებარეობს მდინარეების ხობის და ზანას ხაზის მარცხენა ნაპირზე (**შენიშვნა:** სოფლები, რომლებიც მდებარეობენ აღნიშნული მდინარეების—ხობის და ზანას—ორსავე ნაპირზე რჩება ზუგდიდის ოლქის ფარგლებში). აკლდება:

1) გორდის რაიონი (კინჩხას სოფლის საზოგადოება ბომბუას-ხიდის ზემოთ), რომელიც უერთდება ცაგერის ოლქს *).

2). სოფ. კურზუ (უერთდება ზუგდიდის ოლქს)·

3) სოფ. გულეიკარი, რომელიც უერთდება ქუთაისის ოლქს.

**ზუგდიდის მაზრა**, რომელსაც აკლდება რაიონი, მდებარე მდინარეების ხობის და ზანას ხაზის მარცხენა ნაპირზე, ხოლო ემატება სოფელი კურზუ (იხ. პუნქტი 12).

**რაჭის მაზრა**, რომელსაც ემატება გორის მაზრიდან სოფლები: წონა, ერწო და სისპათანი.

იმ შემთხვევაში, როცა დვალეთი საქართველოს საზღვრებში შემოვა, იგი შეუერთდება ონის ოლქს.

**ლეჩხუმის მაზრა**, რომელსაც უერთდება სენაკის მაზრიდან გორდის რაიონი (კინჩხას სოფლის საზოგადოება ბომბუას-ხიდის ზემოდ)**).

*) იხ. ქვემოთ მეორე ვარიანტი.

**) იხ **ქვემოთ მეორე ვარიანტი.**

| ახალი ადმინისტრატიული ერთეულების სახელწოდება | ადმინისტრატიული ცენტრი | ტერიტორია კვადრატი კილომეტრებით | მოსახლეობა 1917 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცნობების მიხედვით |
|---|---|---|---|
| 16. სოხუმის ოლქი . . . . . . | ქ. სოხუმი | 8.605 | 177.839 |
| 17. ბათომის ოლქი . . . . . . | ქ. ბათომი | 7.118 | 164.637 |
| **გ) შემოუერთებელი ტერიტორიები:** | | | |
| 18. არტაანის ოლქი . . . . . . | დ. არტაანი | 8.188 | 101.757 |
| 19. ზაქათალის ოლქი. . . . . . | ქ. ზაქათალა | 3.946 | 78.411 |

## ვარიანტები

### წალკის და გორდის რაიონების შესახებ.

ორი პატარა კუთხის, წალკის და გორდის რაიონების შესახებ კომისიას საჭიროდ მიაჩნია წარმოადგინოს ძირეულ პროექტთან ერთად მეორე ვარიანტიც ამ რაიონების მოწყობისა:

1) წალკის რაიონი, მდინარე ქოქიანის ხაზის ჩრდილოეთით, (ტერიტორია ამ რაიონისა უდრის 600-მდე კვადრატ კილომეტრს, მოსახლეობა 36.535 სულს), შესაძლოა ბორჩალოს ოლქის საზღვრებიდან გადაირიცხოს ტფილისის ოლქის საზღვრებში; ასეთ შემთხვევაში ცენტრი ბორჩალოს ოლქისა დარჩება დაბა რატევანში (ეკატერინენფელდში).

2) გორდის რაიონი, ანუ კინჩხას სოფლის საზოგადოება ბომბუას ქედის ზემოთ, (ტერიტორია ამ რაიონისა უდრის 200-მდე კვადრატ კილომეტრს, მოსახლეობა 5.865 სულს), შესაძლოა არ იქმნეს შეერთებული ცაგერის (ლეჩხუმის) ოლქთან, და ისევე სენაკის ოლქის ფარგლებში დარჩეს.

ძირეული პროექტ. განმარტება წალკის და გორდის რაიონების შესახებ—იხ. ქვემოდ, მოხსენებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძველი სამაზრო ერთეულებიდან ახალი ადმინისტრატიული ერთეულების ფარგლებში შედის:

**სოხუმის ოლქი** დღევანდელ საზღვრებში, გაგრის რაიონის მითვლით.

**ბათომის მხარის ოლქები** (ბათომისა და ართვინისა).

**არტაანის ოლქი** ფოცხოვის რაიონის გამოკლებით, და ოლთისის ოლქი.

**შენიშვნა:** არტაან-ოლთისის მხარიდან, რომელიც მომავალში შეადგენს არტაანის ოლქს, საქართველოს საზღვრებში ამ ჟამად შედის მხოლოდ ჩრდილოეთი სექტორი არტაანის ოლქისა (ტერიტორია ამ სექტორისა, ფოცხოვს გარდა, უდრის 2.200-მდე კვადრატ კილომეტრს, მოსახლეობა 26.000-მდე სულს).—ვიდრე არტაან-ოლთისის მხარის ტერიტორიები არ არის შემოერთებული საქართველოსთან, ჩრდილო-არტაანის რაიონი ადმინისტრატიული მართვა-გამგეობის მხრით დროებით გაერთიანებული იქნება ახალციხის ოლქთან.

**ზაქათალის ოლქი**—გარდა წინა-მინდორისა (ალაზნის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სექტორისა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განმარტებითი წერილი

**საქართველოს ტერიტორიის ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად დანაწილების შესახებ.**

საქართველოს ტერიტორიის ადმინისტრატიულ ერთეულებად დანაწილების დროს უმაღლეს ადმინისტრატიულ ერთეულის ნორმად ჩვენ მივიღეთ არსებული მაზრა.

სამაზრო დანაწილება, რომელიც მიღებული იყო რუსეთის მფლობელობის დროს, არ იყო ხელოვნურად შექმნილი რამ. ეს ერთეულები მთელი საუკუნეებია რაც არსებობს, და შეეფერება საქართველოს ბუნებრივ დანაწილებას ცალკე საგეოგრაფიო ერთეულებად. ავიღოთ თუნდა ისეთი ტიპიური ადმინისტრატიული ერთეულები, როგორიცაა შიდა-კახეთი (ეხლანდელი თელავის მაზრა-ხელოვნური ჩამონაჭრების მიმატებით), შიდა ქართლი (ეხლანდელი გორის მაზრა—საზღვრების შესწორებით), ან იმერეთის მაზრების მთელი რიგი: თვითეული ამათგანი წარმოადგენს ცალკე ბუნებრივს გეოგრაფიულს პროვინციას, მთლიანს ოროგრაფიულად, ჰიდროგრაფიულად და სამეურნეო პირობების მიხედვით.

ამასთან მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ სამაზრო ერთეულების არსებობამ წარსულ საუკუნეში, როცა ჩვენში ახალი სამოქალაქო ცხოვრება დაიწყო, გამოიწვია თვითეული მაზრის შემადგენელი ნაწილების ერთნაირი ეკონომიური კონსოლიდაცია. ადმინისტრატიული ცენტრები ბუნებრივად გადაიქცა მაზრის აღებ-მიცემის ცენტრად, არსებულ სამაზრო დანაწილებასთან უფარდებდენ სამიმოსვლო გზების გაყვანას, და სხვა. ამიტომაც, რადიკალური შეცვლა საქართველოს ადმინისტრატიულ ერთეულებად დანაწილებისა, და უმაღლეს ადმინისტრატიულ ერთეულის ნორმად მიღება სხვა რომელიმე ერთეულისა, მაგ. ყოფილი საპოლიციო უბნისა, რა მოსაზრებაც აგრეთვე გამოითქვა,—ეს სრულს არევ-დარევას შეიტანდა სამოქალაქო ცხოვრებაში.

ყველა ამ პირობების გათვალისწინების შემდეგ, არსებული სამაზრო დანაწილება არ შეიძლება არ მივიღოთ სახელმძღვანელოდ, როგორც ერთნაირი ზოგადი ნორმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ არსებულ სამაზრო დანაწილებაში არ იყოს საჭირო ცვლილების შეტანა. ცვლილება ზოგჯერ საჭიროა არსებითი. მაზრის დღევანდელი საზღვრები ბევრ შემთხვევაში არღვევს ცალკე გეოგრაფიული ერთეულების მთლიანობას, და ჯერ მარტო ტოპოგრაფიული პირობების მიხედვით საჭიროა მაზრების საზღვრების შესწორება.

მაზრების გადამიჯვნის საჭიროებას იწვევს აგრეთვე საერობო თვითმართველობის მოწყობის საქმე. ადმინისტრატიული ერთეულები ამავე დროს საერობო ერთეულებია. საერობო საქმის ნორმალურ ნიადაგზე დასამყარებლად საჭიროა რათა ეს ერთეულები არ იყვნენ იმდენად სუსტნი ეკონომიურად, რომ ვერ შესძლონ ცენტრალური მმართველობის დაუხმარებლად საერობო მეურნეობის მოწყობა და ჯეროვან სიმაღლეზე აყვანა.

ერთგვარი წონასწორობის დამყარება ცალკე სამაზრო ერთეულებს შორის ტერიტორიისა თუ მოსახლეობის მხრივ (რამდენადაც რასაკვირველია ამის საშუალებას იძლევა გეოგრაფიული და ეკონომიური პირობები თვითეული მაზრისა)—მიზანშეწონილი იქნებოდა აგრეთვე მართვა-გამგეობის გაადვილებისათვისაც, რადგან ეს საშუალებას მოგვცემდა სამართვა-გამგეო აპპარატის ერთგვარობა დაგვემყარებინა.

გადამიჯნივს პროექტის დროს მხედველობაში მიღებული იყო ყველა ეს მომენტები.

გათვალისწინებული იყო აგრეთვე საკითხის პოლიტიკური მხარე.

---

ქვემოდ წარმოდგენილია მოკლე რეზიუმე იმ მოსაზრებათა, რომლითაც ვხელმძღვანელობდით ცალკე მაზრების საზღვრების გამიჯვნის დროს.

---

# თავი პირველი.

**აღმოსავლეთ საქართველოს მაზრები (ყოფილი ტფილისის გუბერნიისა, ფოცხოვის რაიონით).**

აღმოსავლეთი საქართველო (ყოფილი ტფილისის გუბერნია) გაყოფილია ამ ჟამად ცხრა მაზრად. ეს მაზრებია: ტფილისის, გორის, დუშეთის, თიანეთის, თელავის, სიღნაღის, ბორჩალოს, ახალციხის, და ახალქალაქისა. ამათგან უკანასკნელი ორი მაზრის (ახალციხის და ახალქალაქის) მოწყობის საკითხი მეტს სირთულეს წარმოადგენს, ამიტომ მათ კითხვას გამოვყოფთ და ქვემოდ ცალკე შევეხებით. აქ განვიხილავთ პირველი შვიდი მაზრის კითხვას.

ამ მაზრების ტერიტორიისა და მოსახლეობის სურათს გვიჩენებს შემდეგი ცხრილი.

| მაზრები: | მოსახლეობა 1917 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით. | სივრცე კვადრატი კილომეტრებით. |
|---|---|---|
| 1. თიანეთის მაზრა . . . . . . . . | 39.570 | 4.935 |
| 2. თელავის მაზრა . . . . . . . . | 72.088 | 2.511 |
| 3. დუშეთის მაზრა . . . . . | 77.487 | 3.961 |
| 4. ტფილისის მაზრა (გარდა ქ. ტფილისისა) . . . . . . . . . . | 90.102 | 4.648 |
| 5. სიღნაღის მაზრა . . . . . . . . | 119.974 | 6.141 |
| 6. ბორჩალოს მაზრა: უდავო ტერიტორია . . . . . . . . . | 110.666 | 4.506 |
| სადაო ტერიტორიის მითვლით . | 196.169 | 7.006 |
| 7. გორის მაზრა . . . . . . . . | 221.959 | 6.881 |

წარმოდგენილი ცხრილიდან ჩვენ ვხედავთ რომ ამ მაზრებს შორის არავითარი მსგავსება არ არსებობს როგორც ტერიტორიისა, ისე მოსახლეობის მხრივ. მაშინ როდესაც თელავის მაზრა შეიცავს ტერიტორიას 2.511 კვადრატ კილომეტრს, ბორჩალოს მაზრის ტერიტორია 7.006 კვადრატ კილომეტრს უდრის. გორის მაზრის გვერდით, სადაც 222.000

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობა ითვლება, ჩვენ ვხედავთ თიანეთის მაზრას, სადაც მოსახლეობა 40.000-მდე არც-კი აღწევს.

ეს მაზრები არ წარმოადგენენ არავითარ წონასწორობას ეკონომიური შემძლეობის მხრითაც:

ასე, — **გორის მაზრა**, სამიწათმოქმედო მეურნეობით (კერძოთ მეხილეობის კულტურით რომელსაც აქ კარგი მომავალი აქვს), — თავისუფლად შესძლებს ჯეროვნად მოაწყოს საერობო მეურნეობა. აგრეთვე **სიღნაღის** მაზრაც, განვითარებულის მიწათმოქმედებით, მესაქონლეობით, მეთამბაქოობით და მეღვინეობით არა ნაკლებ შემძლე მაზრას წარმოადგენს ეკონომიურად, და სავსებით შესძლებს მომავალში დააკმაყოფილოს საერობო თვითმართველობის საჭიროებანი. ასევე ეკონომიურად ღონიერ მხარეს წარმოადგენს **ბორჩალოს მაზრაც**.

შემდეგ საფეხურზე — ეკონომიური შემძლეობის თვალსაზრისით — სდგანან მაზრები — **თელავისა და ტფილისისა**. განსაკუთრებით უკანასკნელი, ტფილისის მაზრა, ვერ აკმაყოფილებს იმ საშუალო ნორმას, რომელსაც წარმოადგენენ ამერეთში მაზრები — გორისა, სიღნაღისა და ბორჩალოსი, აგრეთვე იმერეთის მაზრების მრავალი რიგი.

რაც შეეხება დანარჩენ მაზრებს, **დუშეთისას** და განსაკუთრებით **თიანეთისას**, ესენი იმდენად ჩამორჩენილნი არიან ეკონომიურად, რომ ვერც ერთი მათგანი, ცენტრალური მთავრობის დაუხმარებლად ვერ შესძლებენ აწარმოონ და ჯეროვან სიმაღლეზე აიყვანონ საერობო მეურნეობა.

მაგრამ ამასთან ერთად, დაყოფა აღმოსავლეთ საქართველოსი მოხსენებულ მაზრებად გეოგრაფიული პირობების მიხედვითაც არ არის შესაწყნარებელი. ძალიან ხშირად მთელი რაიონები სრულიად ხელოვნურად არის მოწყვეტილი თავის ბუნებრივ გეოგრაფიულს და სამეურნეო ჰინტერლანდს. გადამიჯვნა მაზრის საზღვრებისა ტოპოგრაფიულ პირობებთან შეფარდებით მოგვცემს გაცილებით უფრო „რაციონალურ" დანაწილებას ამ მაზრებისას ეკონომიური შემძლეობის მხრით, რაც საერობო თვითმართველობის მოწყობის საქმეს ნორმალურ მსვლელობას მისცემს. ასეთი გადამიჯვნით ჩვენ მივიღებთ აგრეთვე ერთნაირ წონასწორობას მაზრათა შორის ტერიტორიისა და მოსახლეობის მხრითაც, რაც საშუალებას მოგვცემს მართვა-გამგეობის გამარტივებისა და ერთგვარობის შემოღებისათვის.

## 1—2. თიანეთის და დუშეთის მაზრები.

თიანეთისა და დუშეთის მაზრების ტოპოგრაფიული პირობების ახლო გაცნობა გვიჩვენებს, რომ ბევრად უფრო ბუნებრივი იქნება, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მაზრებს ჩამოშორდება განაპირა რაიონ ბი. რომლებიც უფრო დაკავშირებული არიან მეზობელ მაზრებთან, ხოლო დანარჩენი ტერიტორიიდან შესდგება ერთი მაზრა, ცენტრის გადატანით საშუალო ადგილზე.

გავეცნოთ ამ მაზრებს.

**თიანეთის მაზრას** შეადგენს შემდეგი რაიონები, რომელთაგან თვითეული წარმოადგენს ასე ვთქვათ ცალკე გეოგრაფიულ ატომებს. ეს რაიონებია: 1) ზემო-ალაზნის ხეობა; 2) პირიქითი თუშეთი; 3) წინა და უკანა ფშავეთი; 4) იმიერი და ამიერი ხევსურეთი; 5) ერწო; 6) საკუთრივ თიანეთი.

1—2. ამ რაიონებიდან—პირველი ორი რაიონი, პირიქითი თუშეთი და ზემო-ალაზნის ხეობა,—მჭიდროდ არის დაკავშირებული თელავთან და შიდა-კახეთთან როგორც ეკონომიურად, ისე ტოპოგრაფიულად და სამიმოსვლო გზების მომართულებით. თუშეთის თემების მიერ, წარსულშიაც, და ამ ჟამადაც, არა ერთხელ აღძრულა შუამდგომლობა, რათა მათი კუთხე შეერთებინათ თელავის მაზრისათვის. კიდევ უფრო მეტი გამართლება აქვს ზემო-ალაზნის ხეობის შეერთებას თელავთან, რადგან ეს კუთხე მოშორებული თიანეთიდან იორ-ალაზნის წყალთა-გამყოფი ქედით, ოროგრაფიულად და ჰიდროგრაფიულად განუყოფელი ნაწილია შიდა-კახეთისა, უშუალოდ უერთდება შიდა-კახეთის ბარს, და დაკავშირებულია თელავთან პირდაპირის გზებით.

მეორე მხრით შეერთება ამ რაიონებისა თელავის მაზრასთან მისაღებია თელავის მაზრის ინტერესების თვალსაზრისით, რადგან ეს გააძლიერებდა თელავის მაზრას, რომელსაც ამ ჟამად ერთი უკანასკნელთაგანი ადგილი უჭირავს როგორც ტერიტორიით, ისე მოსახლეობის მხრით.

პირიქით თუშეთსა და ზემო-ალაზნის ხეობაში, რომლებიც ამნაირად უნდა შეუერთდნენთ ელავის მაზრას, ითვლება 15.189 სული მცხოვრები; ამის გამოკლებით ჩვენ გვრჩება თიანეთის მაზრაში 24.389 სული მცხოვრები. განმარტებაც მეტია, რომ ასეთი მაზრის ცალკე არსებობას არავითარი გამართლება არ ექნებოდა.

განვაგრძოთ თიანეთის მაზრების დანარჩენი რაიონების მიმოხილვა:

3—4. ფშავეთი და ხევსურეთი. ეს ორი კუთხე არაგვის ხეობით გამოდის დუშეთის მაზრაზე; ამიტომ იმ შემთხვევაშიაც-კი, თუნდაც თიანეთის მაზრა ცალკე ერთეულად არსებულიყო, გაცილებით უფრო ბუნებრივი და მიზანშეწონილი იქნებოდა ამ კუთხეების შეერთება დუშეთის მაზრასთან, თუ კი დუშეთის მაზრის ცენტრი გადატანილი იქნებოდა ჩრდილოეთით, მაგალითად ანანურში. ხოლო ცენტრის ასეთი გამოცვლა დუშეთის მაზრისათვის მიუცილებელია, როგ[illegible] დუშეთის მაზრის პირობების გაცნობის დროს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ერწო (სამხრეთი რაიონი თიანეთის მაზრისა) მჭიდრო ეკონომიური კავშირით არის გადაბმული ტფილისთან; ყოველგვარი აღებ-მიცემა, ამ კუთხეს ტფილისთან აქვს. ამიტომ შეერთება ამ კუთხის ტფილისთან, მიუცილებელია, მით უფრო რომ თიანეთის მაზრა თავისთავად უქმდება. ამას მოითხოვს როგორც ერწოს ინტერესები, ისე ინტერესებიც ტფილისის მაზრისა, რომელიც ეკონომიურად მეტად ჩამორჩენილ კუთხეს წარმოადგენს.

6. ამნაირად თიანეთის მაზრიდან ჩვენ დაგვრჩა ერთად-ერთი რაიონი, საკუთრივ თიანეთი, რომელიც შეიცავს სულ ერთ თემს (სოფლის საზოგადოებას), და რომლისათვის უფრო დასამძარი იქნებოდა თიანეთში სამაზრო ცენტრის არსებობა. მაგრამ ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ თიანეთის მაზრის ეს რაიონიც გაცილებით უფრო ახლოა გეოგრაფიულად დუშეთის მაზრის მომავალ ცენტრთან ანანურთან, ვიდრე დუშეთის მაზრის სანაპირო-კუთხეები: ხევი, ქსნის-ხევის ზოგი კუთხეები, და თითონ არაგვის მთიულეთიც-კი. ამიტომ შეერთება ამ ერთი თემისა დუშეთის მაზრასთან არავითარ უხერხულობას არ გამოიწვევდა,

ამნაირად როგორც ვხედავთ, თიანეთის მაზრა სრულებით ბუნებრივად ნაწილდება თელავის, დუშეთის და ტფილისის მაზრებს შორის.

გადავიდეთ ეხლა **დუშეთის** მაზრაზე.

დუშეთის მაზრაზედაც მიწერილია ამ ჟამად რაიონი, რომელსაც ბუნებრივი ეკონომიური მიზიდულობა ტფილისისაკენ აქვს. ეს კუთხეა მცხეთის რაიონი, რომელიც შეიცავს მცხეთა—მუხრანის და საგურამოს ბარს. ეს კუთხე ტფილისის ინტერლანდს წარმოადგენს; აღებ-მიცემით სამეურნეო პირობებით და სამიმოსვლო გზებით იგი შეკავშირებულია ტფილისთან, და შეერთებულ უნდა იქმნას ტფილისის მაზრასთან. ეს შეერთება მისაღებია ყველა პირობების მიხედვით.

ჩვენ გამოვარკვიეთ ტერიტორიები, რომელიც უნდა ჩამოშორდენ თიანეთის და დუშეთის მაზრებს; ესენია: 1) თუშეთი და ზემო-ალაზნის ხეობა, რომლებიც შეუერთდება თელავის მაზრას; 2) მცხეთის და ერწოს რაიონები, გადადის ტფილისის მაზრის ფარგლეში.

დანარჩენი ტერიტორია დუშეთის და თიანეთის მაზრებისა წარმოადგენს, ერთს მთლიანს გეოგრაფიულს პროვინციას, და შეერთება მათი ერთ მაზრად სრულიად ბუნებრივი იქნება. ამ ახალ მაზრაში ამნაირად შევა მთიულეთის თემები, და ბარის ის სექტორი, რომელიც აერთებს ამ თემებს. ეკონომიურის მხრითაც ეს ტერიტორია სრულს ერთგვარობას წარმოადგენს: ორივე სექტორი მაზრისა მესაქონლეობის ტიპიური ქვეყანაა.

ტერიტორია და მოსახლეობა ამ ახალი მაზრისა შემდეგი იქნება: ტერიტორია უდრის 6.137 კვადრატ კილომეტრს; მოსახლეობა 77.695 სულს (1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით; ხოლო ადმინისტრაციის სტატისტიკური ცნობებით 1914 წლისა—84.691 სულს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერიტორიულად ახალი მაზრა ამნაირად იძლევა ნორმალურ სამაზრო ერთეულს—აღმოსავლეთ საქართველოს მაზრების საზომით. ტერიტორიის სივრცით იგი ცოტათი ნაკლებია ვიდრე ბორჩალოს, გორის და სიღნაღის მაზრები, თანაბარია ამ პროექტით განზრახულ ტფილისის და ახალციხე—ახალქალაქის მაზრებთან, ხოლო მეტია თელავის მაზრა, აგრეთვე იმერეთის მაზრების მთელი რიგი.

რაც შეეხება მოსახლეობას, ეს მაზრა, მიუხედავად ტერიტორიის მომატებისა, მოსახლეობის რიცხვით მაინც ჩამორჩება აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მაზრებს, რაც აიხსნება გეოგრაფიული პირობებით. მაზრის მთა-გორიანი მდებარეობით. ეკონომიური შემძლეობის მხრითაც ეს მაზრა ჩამორჩენილია სხვა მაზრებთან შედარებით, მაგრამ ეს უფრო მეურნეობის განუვითარებლობით აიხსნება. რაციონალური დაყენება მესაქონლეობისა და მასთან შეკავშირებული მეურნეობის დარგებისა, ამ მაზრას მომავალში დიდს ეკონომიურ დაწინაურებას უქადის.

დაგვრჩა გამოსარკვევი მაზრის ცენტრის საკითხი.

ქალაქი დუშეთი, ეხლანდელი ცენტრი დუშეთის მაზრისა, რომელიც ნამდვილად სოფელს წარმოადგენს, და არც ისე მოზრდილ სოფელს, (სულ ათვლება 2.200 სული მცხოვრები) როგორც ადმინისტრატიული ცენტრი მიუღებელი იყო დუშეთის მაზრისათვის არსებულ საზღვრებშიაც. იგი მეტისმეტად სამხრეთით მდებარეობს, და უდიდესი ნაწილი მაზრისა, მთის თემები, მოწყვეტილი იყო სამაზრო მმართველობას. მიუცილებელია რომ ცენტრი გადატანილ იქმნას უფრო ჩრდილოეთით, და ეს განსაკუთრებით ადვილდება ამ ჟამად, რაკი მაზრას ჩამოშორდა სამხრეთი სექტორი მაზრისა მცხეთის რაიონი. ბუნებრივი ცენტრი მთელი მთიულეთის მხრისა არის ანანური, რომელიც მდებარეობს მაზრის შუა ადგილზე, საცა თავდება მთის თემები და იწყება ბარი. ძველადაც ანანური მთელი არაგვის ხეობის ცენტრს წარმოადგენდა. ანანური უფრო დასაძხარია დუშეთის მაზრის უდიდესი ნაწილისათვის ვიდრე დუშეთი, და ამასთან ყოფილი თიანეთის მაზრის დიდი ნაწილიც მას უფრო ემხრობა, ვიდრე თიანეთს. ამასთან ანანურს, რომელზედაც გასდევს ტფილის-ვლადიკავკასის მაგისტრალური გზა, და რომელიც მდებარეობს მთაში შესავალ კარებთან, აქვს ყველა შანსები, რომ იგი მნიშვნელოვან პუნქტად გადაიქცეს.

### 3. თელავის მაზრა.

თელავის მაზრის საზღვარი ყოფილ თიანეთის მაზრის მხრით უკვე გამორკვეულია: საზღვრად დაიდება ბუნებრივი მიჯნა თელავის პროვინციისა ალაზან-ივრის წყალთა გამყოფი ქედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის მაზრის მხრითაც თელავის მაზრას ასეთივე მკაფიოდ გამოკვეთილი საზღვარი აქვს, აქაც საზღვარზე გადასდევს იგივე ალაზან-ივრის წყალთა-გამყოფი მთები.

გამოსარკვევი რჩება საზღვარი მხოლოდ სიღნაღის მაზრის მხრით. ამ ორ მაზრას შორის არ არსებობს ისეთი მკაფიოდ გავლებული ხაზი, როგორც დანარჩენ საზღვრებზე. ორივე მაზრა მდებარეობს ალაზნის ველზე და უშუალოდ ერთვიან ერთიმეორეს. მაინც არსებული საზღვრის ხაზი მიუღებლად უნდა ჩაითვალოს. დღევანდელის დანაწილებით სიღნაღის მაზრის ფარგლებში მოქცეულია ველისციხე—ქერემ ხევის რაიონი, რომელიც ეკონომიური პირობებით დაკავშირებულია თელავთან, და მანძილითაც უფრო ეახლოვება თელავს. ამასთან ეს კუთხე თელავთან შეერთებულია პირდაპირი სარკინისგზო მიმოსვლით. ყველა ამ პირობების მიხედვით ეს პატარა რაიონი, რომელიც შეიცავს სოფლებს: მუკუზანს, ველისციხეს, ზეგაანს და ქერემს გადარიცხული უნდა იქმნეს თელავის მაზრის საზღვრებში. ეს მით უფრო, რომ სიღნაღის მაზრა ისედაც დიდია თელავისაზე როგორც ტერიტორიით, ისე მოსახლეობით; ეკონომიური შემძლეობის მხრითაც სიღნაღის მაზრა მაღლა სდგას თელავის მაზრასთან შედარებით.

თელავის მაზრა ძველს საზღვრებში შეიცავდა 2511 კვადრატ კილომეტრს და მოსახლეობას 72.088 სულს (1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერით) ტერიტორიის სივრცით იგი ორჯერ, და კიდევ მეტად ნაკლები იყო აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მაზრებთან შედარებით. მოსახლეობის მხრივაც იგი ჩამოუვარდებოდა დანარჩენ მაზრებს. ახალის გადამიჯვნით თელავის მაზრას ამნაირად ემატება: 1) ყოფილ თიანეთის მაზრიდან თუშეთი და ზემო-ალაზანის ხეობა; 2) სიღნაღის მაზრიდან—ველისციხე-ქერემ ხევის რაიონი. თელავის მაზრა აღებული ამ ახალ საზღვრებში შეიცავს ტერიტორიას 4.670 კვადრატ კილომეტრს, და მოსახლეობას 97.193 სულს (1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცნობებით; ხოლო 1914 წლის ადმინისტრაციის სტატისტიკით მოსახლეობა უდრის 116.061 სულს).

მართალია ამ ფარგლებშიაც ეს მაზრა საშუალო ნორმის მიხედვით პატარა ერთეულს წარმოადგენს (აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენი მაზრები ამ პროექტით შეიცავენ ტერიტორიას 6.000 კვადრატ კილომეტრამდე, ხოლო მოსახლეობას საშუალოდ 140.000 სულს), მაგრამ ეკონომიური შემძლეობის მიხედვით მაზრას საშუალო ადგილი უჭირავს დანარჩენ მაზრებს შორის, და მას არ გაუძნელდება საერობო მეურნეობის გაძღოლა.

ამასთან ეს მაზრა, აღებული ახალ საზღვრებში, წარმოადგენს ერთს მთლიანს, ბუნებრივად შემოფარგლულს გეოგრაფიულს და სამეურნეო

პროვინციას; რაიმე ცვლილების შემოტანა მაზრის საზღვრებში შეუძლებელი იქნებოდა ტოპოგრაფიული პირობების მიხედვით.

### 4. სიღნაღის მაზრა.

სიღნაღის მაზრა, რომელიც კახეთის ცალკე ეკონომიურ მხარეს წარმოადგენს, და შეიცავს ქვემო-ალაზნის და ქვემო ივრის ველებს, მხოლოდ ერთის მხრით, ჩრდილო-დასავლეთით, ეკვრის საქართველოს მაზრებს; დანარჩენის მხრით მისი მოსაზღვრეა ადერბეიჯანი, დაღესტანი და დროებით ჩამოშორებული ზაქათალის ოლქი.

ადერბეიჯანის და ზაქათალის ოლქი მხრით მაზრის საზღვრებს არა ბუნებრივი მოხაზულობა აქვს.

საზღვარი ზაქათალის ოლქთან, რომელიც მაზიმ-ჩაის შესართავიდან დაწყებული ვიდრე შირაქამდე მიჰყვება მდინარე ალაზანს, უკანასკნელი პუნქტიდან მოკიდებული გადმოდის ალაზნის მარჯვენა ნაპირაზე, თუმცა ბუნებრივი საზღვარი ქიზიყისა და საინგილოს შორის ამის ქვემოდაც იგივე ალაზანი არის, ვიდრე მტკვრის შესართავამდე. ამნაირად, განუყოფელი ნაწილი ქიზიყისა, წინა-მინდორი, — შეერთებული რჩება ზაქათალის ოლქთან.

ასევეა საკუთრივ ადერბეიჯანის მხრითაც. ბუნებრივი სამხრეთი საზღვარი ქიზიყისა არის მდინარე მტკვარი, ამ ჟამად ადერბეიჯანის საზღვარს გასდევს მტკვრის ჩრდილოეთით; ამგვარად, — ჯეირან-ჭალის, სამუხის და ქვემო-ყარაიას ველები ჩამოჭრილია ქიზიყიდან და შეერთებულია ადერბეიჯანზე.

ეს მეტად მნიშვნელოვანი ამ სანაპირო მაზრისათვის საზღვრები ადერბეიჯანის და ზაქათალის ოლქის მხრით, საჭიროა აღდგენილ იქნეს.

საქართველოს მაზრების მხრით სიღნაღის მაზრა ეკვრის თელავისა და ტფილისის მაზრებს.

საზღვარი თელავის მაზრასთან უკვე გამორკვეული იყო ზემოთ.

ტფილისის მაზრის მხრით მოხდება უმნიშვნელო ცვლილება. აქ, მიჯნაზე მდებარე ორი დიდი სოფელი სიღნაღის მაზრისა, ჩაილური და კაკაბეთი, მიეწერება ტფილისის მაზრას. ამ სოფლებს მიმოსვლა და ალებმიცემა ტფილისთან აქვს.

სიღნაღის მაზრა, საზღვრების იმ ცვლილებით, რომელიც აქ არის წარმოდგენილი, შეიცავს ტერიტორიას 5.791 კვადრატ კილომეტრს, ხოლო მოსახლეობას 105.811 სულს (1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით; 1914 წლის ადმინისტრაციის სტატისტიკით მოსახლეობა უდრის 121.992 სულს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ შემთხვევაში თუ სიღნაღის მაზრასთან შეერთებული იქნება ის ტერიტორიებიც, რომლებიც დღეს შეერთებულია ადერბეიჯანზე და ზაქათალის ოლქზე, სიღნაღის მაზრას მოემატება სივრცე 1.600 კვადრატ კილომეტრამდე; მოსახლეობა დარჩება უცვლელად, რადგან მოხსენებული ტერიტორიები დაუსახლებელია.

სიღნაღის მაზრა იმ საზღვრებში, რომელიც განზრახულია ამ პროექტით, ტერიტორიითა და მოსახლეობით უახლოვდება საშუალო ნორმას.

რაც შეეხება მაზრის ეკონომიურ შემძლეობას, ამ მხრივ მას, გორის მაზრასთან ერთად პირველი ადგილი უჭირავს აღმოსავლეთ საქართველოს სხვა პროვინციებში. აქ თანაბრად ვანვითარებულია როგორც მიწათმოქმედება, ისე მესაქონლეობა; ამასთან მაზრის ჩრდილოეთ სექტორში, წინა-მხარში, მევენახეობას მისდევენ, ხოლო სამხრეთით, საკუთრივ ქიზიყში გავრცელებულია თამბაქოს კულტურა.

მაზრის სიმდიდრეს შეადგენს აგრეთვე თავისუფალი საკოლონიზაციო მიწები გაღმა-მხარში, შირაქში და ივრის ველებზე, რომლებიც თითქმის გატიტვლებულია მოსახლეობისაგან. დასახლება ამ რაიონებისა, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიულ ავანპოსტებს წარმოადგენენ, პირველ რიგშივე უნდა გახდეს ზრუნვის საგნად როგორც ადგილობრივი თვითმართველობისა, ისე ცენტრალური მმართველობის.

## 5—ნ. ქ. ტფილისი და ტფილისის მაზრა.

**ქ. ტფილისი,** იმ განსაკუთრებული პირობებისა გამო, რომელშიაც იმყოფება იგი როგორც რესპუბლიკის სატახტო ქალაქი, თავისი მრავალრიცხოვანი მოსახლეობით (რომელიც 300.000-ს სჭარბობს), და ფართო მეურნეობით,—ცხადია რომ გამოყოფილ უნდა იქმნეს მაზრიდან ცალკე უმაღლეს საადმინისტრაციო ერთეულად, რაც ფაქტიურად მოხდა კიდეც.

**ტფილისის მაზრა** არსებულ საზღვრებში შეიცავს 4.648 კვადრატ კილომეტრს ხოლო მოსახლეობას 90.000 სულს (1917 წლის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკით). მაზრა დღევანდელს საზღვრებში სრულებით არა-ბუნებრივ მოხაზულობას წარმოადგენს. იმ დროს როდესაც ქ. ტფილისს, ცხადია, გაცილებით მეტი ეკონომიური მიზიდულობა აქვს, ვიდრე პატარა სამაზრო ქალაქებს,—მაზრა, რომელიც უშუალოდ ტფილისზეა მიწერილი ჩამოუვარდება აღმოსავლეთ საქართველოს მაზრების მთელ რიგს როგორც მოსახლეობით, ისე ტერიტორიის სივრცით. მაზრის საზღვრების გარეშე მოქცეულია ამ ჟამად მთელი რაიონები, რომელიც ტფილისის ბუნებრივ ჰინტერლანდს წარმოადგენენ და ეკონომიური ერთიერთობით უშუალოდ გადაბმული არიან ტფილისთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს რაიონები, რომელიც განუყოფელია ტფილისიდან, და რომლებიც უნდა შემოერთებულ იქნენ ტფილისის მაზრასთან ნაწილობრივ უკვე გამორკვეული იყო. ეს რაიონებია: 1) დუშეთის მაზრიდან—მცხეთის რაიონი, რომელიც შეიცავს მცხეთა—მუხრანის და საგურამოს ბარს; 2) ყოფილი თიანეთის მაზრიდან—ერწო. 3) სიღნაღის მაზრიდან—სოფლები: ჩაილური და კაკაბეთი.

საქართველოს დანარჩენი მაზრებიდან ტფილისის მაზრას ეკვრის მაზრები - გორისა და ბორჩალოსი. ამ მხრივაც საჭიროა საზღვრების ცვლილება:

4) გორის მაზრიდან—ტფილისის მაზრას უნდა შემოუერთდეს ძეგვი—ქვემო ნიჩბისის რაიონი (მტკვრის ხეობა ქსნის შესართავს ქვემოთ). ეს პატარა სექტორი, რომელიც სოლივით არის შემოჭრილი მცხეთა—მუხრანის რაიონსა და ტფილისის მაზრას შუა, ყველა მხრივ უფრო ემხრობა ტფილისს ვიდრე გორს;

5) ბორჩალოს მხრივ გამოსარკვევია ორი კუთხის: სანდარას და წალკის რაიონების საკითხი.

a) **სანდარას რაიონი**. ტფილისის მაზრის სამხრეთი საზღვარი დაწყებული სოფელ ალექსანდერსგილფიდან (სადაც მდინარე ქცია დასრამდება) - ვიდრე არუხლოს ხიდამდე მისდევს მდინარე ხრამს. არუხლოს ქვემოდ კი საზღვარი ამ ჟამად შორდება მდ. ხრამს და მისდევს ჩრდილოეთით, იაღლუჯას გორაკებს. როგორც ტფილისის მაზრას, ისე ბორჩალოსაც, გაცილებით უფრო ბუნებრივი მოხაზულობა ექნება, თუ რომ მათ საზღვრად იმავე მდინარე ხრამს მივიღებდით არუხლოს ქვემოდაც ვიდრე მდ. მტკვრამდე. სანდარას რაიონი, (ბორჩალოს მაზრის ის სექტორი, რომელიც მდინარე ხრამის ჩრდილოეთით მდებარეობს, იაღლუჯის გორებსა და მტკვარს შუა) რომელიც ამნაირად ტფილისის მაზრის საზღვრებში მოიქცევა, სულ ხუთმეტიოდე ვერსით აკრავს ქ. ტფილისს; ტფილისთან ეს რაიონი შეერთებულია სამიმოსვლო გზების მიმართულებით: ჯერ რკინისგზით, და ამას გარდა ორი საფოსტო ტრაქტით.

b) **წალკის რაიონი.** წალკის რაიონის საკითხის გადაჭრა უფრო მეტს სირთულეს შეიცავს. ეს კუთხე წარმოადგენს ერთნაირ გარდამავალ ზონას ტფილისის და ბორჩალოს მაზრებს შორის. ზოგი პირობების მიხედვით შეიძლებოდა წალკის რაიონი შეგვეერთებინა ტფილისის მაზრასთან; მაგრამ, ეს შეასუსტებდა ბორჩალოს სამაზრო ერთეულს.

ჩვენ გამოვარკვიეთ ტფილისის მომავალი სამაზრო ერთეულის საზღვრები. იმ ცვლილებებით, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ, ტფილისის მაზრა სრულებით ბუნებრივს გეოგრაფიულ კონფიგურაციას ღებულობს. რაც შეეხება ტერიტორიის სივრცესა და მოსახლეობის რაოდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობას ამ მხრითაც იგი საშუალო ადგილს დაიჭერს აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენ მაზრებს შორის. ტერიტორიის სივრცე ტფილისის მაზრისა, ზემოდ ნაჩვენებ ფარგლებში, უდრის 6.248 კვადრატ კილომეტრს, ე. ი. ცოტათი ნაკლებია ვიდრე ტერიტორიები სიღნაღისა, გორისა და ბორჩალოსი, თითქმის იმდენივეა რამდენიც დუშეთის და ახალციხე-ახალქალაქის მაზრების ტერიტორია, და შედარებით მეტი ვიდრე ტერიტორია თელავის მაზრისა. მოსახლეობა ითვლება—1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერით 133.253 სული (1914 წლის ადმინისტრაციის სტატისტიკით—149.758 სული), ე. ი. ნაკლები ვიდრე გორის, ბორჩალოს და ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში, მეტი ვიდრე დანარჩენ მაზრებში. ეკონომიური შეძლეობის მხრითაც მაზრას ასეთივე საშუალო ადგილი ეჭირება დანარჩენ ერთეულებთან შედარებით.

## 7. ბორჩალოს მაზრა.

ბორჩალოს მაზრა მხოლოდ სამის მხრით ეკვრის საქართველოს მაზრებს. ეს მოსაზღვრე მაზრებია—ახალქალაქისა, გორისა და ტფილისისა. ახალქალაქის მაზრიდან—ბორჩალოს გაჰყოფს ბუნებრივი საზღვარი—ჯავახეთის ალპები (Мокрыя горы); ასეთივე ბუნებრივი საზღვრები გასდევს გორის მაზრას მიჯანზედაც: თრიალეთის ქედი; რაც შეეხება საზღვარს ტფილისის მაზრასთან, ამ მხრივ, როგორც აღნიშნული გვქონდა, ბორჩალოს მაზრიდან ტფილისის მაზრას უერთდება სანდარას რაიონი.

ბორჩალოს მაზრის ტერიტორია და მოსახლეობა ამ ახალ საზღვრებში შემდეგია:

ტერიტორია—სადაო ზონის (ლორის და ალავერდის რაიონის) მითვლით უდრის . . . . . 6.556 კვ. კილ.

„ სადაო ზონის მიუთვლელად . . . . 4.056 კვ. კილ.

მოსახლეობა—სადაო ზონის მითვლით . . . . . . 184.722 სული.

„ სადაო ზონის მიუთვლელად . . . . 99.219 სული.

თუმცა ბორჩალოს მაზრა ნორმალურ მაზრას წარმოადგენს ტერიტორიის სივრცით, მოსახლეობის რაოდენობით, და ეკონომიურის შეძლეობით, მაგრამ ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ ბორჩალოს მაზრა არ არის ისევე შეკრული გეოგრაფიულის მთლიანობით როგორც დანარჩენი მაზრები საქართველოსი. იგი იყოფა ოთხ პატარა რაიონებად: წალკისა, დმანის-ხევისა, დებედის-ხევისა და ლორისა; ჩრდილოეთით მდებარე სამი რაიონებიდან თვითეული მათგანი იმდენადვე დამოკიდებულია გეოგრაფიულად ერთი-მეორისაგან, რამდენადაც ტფილისიდან. ამით აიხსნება რომ კერძოდ წალკის შესახებ არის მოსაზრება ამ რაიონის შეერთებაზე ტფილისთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ბორჩალოს მაზრა მეტის მთლიანობით შეიკრას ამისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება ადმინისტრატიული ცენტრის სისწორით ამორჩევას. რუსეთის მფლობელობის დროს მაზრის ადმინისტრატიულ ცენტრად ითვლებოდა დაბა შულავერი. ეს უსათუოდ მიუღებელია, რადგან შულავერი მაზრის განაპირას მდებარეობს და არც ერთი რაიონისათვის არ არის დასამხარი გარდა საკუთრივ დებედას-ხევის რაიონისა. ცენტრი ამ ჟამად მოთავსებულია სოფელ რატევანში (ეკატერინენფელდში); ეს სოფელი უფრო დასამხარია ვიდრე შულავერი, მაგრამ გაცილებით უფრო მიზანშეწონილი იქნება თუ მაზრის ცენტრს უფრო აღმოსავლეთით გადავიტანდით—სახელდობრ სოფელ ქვეშში. ქვეში მდებარეობს ღმანისხევის რაიონში, საცა ეს ხეობა იშლება და გამოდის ვაკეზე. ქვეშს უჭირავს ბარი ადგილი და გეოგრაფიული პირობები ხელს უწყობს, რომ იგი მნიშვნელოვან პუნქტად გაიზარდოს. ამასთან ქვეში გაცილებით უფრო სამხროა მაზრის ყველა რაიონებისათვის ვიდრე რომელიმე პუნქტი: ჩრდილოეთის სამ რაიონებში მას უჭირავს საშუალო ადგილი, თანაბრად დაშორებული როგორც წალკიდან, ისე დებედასხეობის რაიონიდან; ხოლო ლორთანაც უფრო ახლოა ვიდრე ეკატერინენფელდი და შეერთებულია პირდაპირი საფოსტო ტრაქტით.

## 8. გორის მაზრა.

გორის მაზრის აღმოსავლეთი საზღვარი გამორკვეულია. ამ მხრით გორის მაზრიდან ტფილისის მაზრას უერთდება ნიჩბის-ძეგვის სექტორი.

ჩრდილოეთი საზღვარი გორის მაზრისა ამავე დროს სახელმწიფო საზღვარია—კავკასიონის ქედი.

დასავლეთი საზღვარი გორის მაზრისა მიჰყვება აგრეთვე ბუნებრივ მიჯნას—ლიხის მთას, და მხოლოდ ერთ ალაგას, რაჭის მაზრის საზღვარზე შორდება იგი ამ ზღუდეს, რის გამო გორის მაზრის საზღვრებში ამ ჟამად მოქცეულია ლიხის გადაღმა მდებარე სამი სოფელი: წონა, ერწო და სისპათანი. აქ საზღვარი უნდა შესწორდეს, და ეს სამი სოფელი გადირიცხოს გორის მაზრიდან რაჭის მაზრაში.

სამხრეთის მხრით გორის მაზრა ეკვრის ტფილისის, ბორჩალოს, ახალქალაქის და ახალციხის მაზრებს. პირველი ორი მაზრიდან, ტფილისიდან და ბორჩალოდან, გორის მაზრას გაჰყოფს ბუნებრივი საზღვარი თრიალეთის ქედი. ახალციხე—ახალქალაქის მხრით კი გორის მაზრაში მდებარეობს ბორჯომის რაიონი, რომელიც ერთნაირ გარდამავალ ზონას წარმოადგენს ახალციხის და გორის მაზრებს შორის.

ბორჯომის რაიონის შესახებ უნდა აღვნიშნოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორჯომის რაიონი შეიცავს სამ სოფლის საზოგადოებას: ახალდაბის, ბორჯომის და ბაკურიანისას. აქედან ახალდაბის საზოგადოება ზედვე აკრავს ხაშურს, და უფრო მჭიდროდ დაკავშირებულია გორის მაზრასთან. დანარჩენ ორ საზოგადოებას (ქ. ბორჯომით), რომელიც საკუთრივ ბორჯომის რაიონს შეადგენს, — თანაბარი დამოკიდებულება აქვს, როგორც გორთან, ისე ახალციხესთან. მანძილით ბორჯომის რაიონი უფრო ახლო აკრავს ქ. ახალციხეს. მაგრამ მაინც ქ. გორი უფრო დასამხარად უნდა ჩაითვალოს ამ კუთხისათვის, რადგან ბორჯომის რაიონი შეერთებულია ქ. გორთან სარკინისგზო მიმოსვლით, რაც აადვილებს გორთან ურთიერთობას.

ამიტომ ჩვენ, ჯერ-ჯერობით მაინც, არ მიგვაჩნია დროული ბორჯომის რაიონის გორის მაზრიდან ჩამოშორება.

ამნაირად წარმოდგენილის პროექტით გორის მაზრის ფარგლებში ხდება შემდეგი ცვლილებანი: 1) ნიჩბის-ძეგვის რაიონი უერთდება ტფილისის მაზრას; 2) სოფლები წონა, სისპათანი, და ერწო უერთდება რაჭის მაზრას. რაც შეეხება ბორჯომის რაიონს, იგი ისევ გორის ფარგლებში რჩება.

გორის მაზრა აღებული ამ საზღვრებში შეიცავს ტერიტორიას 6.681 კვადრატ კილომეტრს, ხოლო მოსახლეობას 217.675 სულს (1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერით). ამნაირად გორის მაზრა ტერიტორიის სივრცით ნაკლებია ვიდრე სიღნაღისა და სოხუმის, ბათომის და არტაანის მაზრები, და თითქმის იმოდენაა რაც ბორჩალოს. აგრეთვე ტფილისის და დუშეთ-თიანეთის მაზრები; ხოლო მოსახლეობის მხრით იგი ნაკლებია ვიდრე ქუთაისის მაზრა, და თითქმის თანაბარია შორაპნის, ბორჩალოს და სოხუმის მაზრასთან *).

ჯერ მარტო ამ შედარებიდანაც ცხადია რომ გაყოფას გორის მაზრისა ორ მაზრად (გორისა და ხაშურისა), რის პროექტი წარმოდგენილი იყო, — არავითარი გამართლება არა აქვს. გორის მაზრა, როგორც ტერიტორიის სივრცით, ისე მოსახლეობის რაოდენობით საშუალო ნორმას უახლოვდება.

გორის მაზრის დანაწილება შეუძლებელია შევიწყნაროთ გეოგრაფიული პირობების მიხედვითაც. მაზრა წარმოადგენს მთლიან გეოგრა-

*) ბორჯომის რაიონის მიუთვლელად, რომელსაც როგორც აღვნიშნეთ არა აქვს გორის მაზრასთან განსაკუთრებული ორგანიული კავშირი, გორის მაზრა შეიცავს ტერიტორიას 5.740 კვად. კილომეტრს, ხოლო მოსახლეობას 203.958 სულს. გორის მაზრა, ასეთის ვარიანტით, დაიჭერს მხოლოდ მეცხრე ადგილს საქართველოს დანარჩენ მაზრათა შორის (სიღნაღის, ბორჩალოს, ტფილისის, დუშეთის, ახალციხე-ახალქალაქის, სოხუმის, ბათომის და არტაანის მაზრების შემდეგ). მოსახლეობის პროპორცია იგივე რჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიულს პროვინციას დამთავრებულს თავის საზღვრებში ჰიდროგრაფიულად და ოროგრაფიულად. სწორედ ამ ბუნებრივი გეოგრაფიულის მთლიანობით აიხსნება, რომ წარსულშიაც ეს მხარე ყოველთვის ერთს მთელს და განუყოფელ პროვინციას წარმოადგენდა.

ამავე დროს მაზრის ეს გეოგრაფიული მთლიანობა წინასწარ განსაზღვრავს მის სამეურნეო მთლიანობასაც. თვითეული კუთხე მაზრისა თავისი მეურნეობით, თითონ გეოგრაფიული პირობებისა გამო შეკავშირებულია მთელთან. მაზრის ეს მთლიანობა კიდევ უფრო შეკრულია მაზრის ბუნებრივი ცენტრით ქალაქი გორით, რომელთანაც რადიუსების მსგავსად თავს იყრის მაზრის სამიმოსვლო გზების მიმართულება.

დასასრულ გორის მაზრის ორად გაყოფა დასცემდა მაზრის ეკონომიურ შემძლეობას. თუ მაზრა დღევანდელს საზღვრებში, თავისი მეურნეობით, თავისუფლად შესძლებს საერობო თვითმართველობის საქმეების საკუთარის ძალღონით გაძღოლას, მაზრის დანაწილების შემდეგ ერთი ეკონომიურად შემძლე მაზრის ნაცვლად ჩვენ მივიღებდით ორ სუსტს მაზრას, რომელთაც საერობო მეურნეობის მოწყობისათვის დასჭირდებოდათ მუდმივი სუბსიდია ცენტრალური მმართველობისა.

ყველა ამ პირობების მხედველობაში მიღების შემდეგ შეუძლებელია არ დავასკვნათ, რომ გორის მაზრის ორად გაყოფას არავითარი გამართლება არა აქვს, და იგი უნდა დარჩეს მთლიანად იმ საზღვრებში, რომელიც ზემოდ იყო შემოფარგლული *).

## 9—10. ახალციხე-ახალქალაქის მაზრები და ფოცხოვის რაიონი (არტაანის ოლქისა).

საკითხი ახალციხე-ახალქალაქის მაზრების და მათთან შეკავშირებული ფოცხოვის რაიონის მოწყობისა მეტს სირთულეს წარმოადგენს, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენი მაზრების მოწყობის კითხვა.

ამ საკითხის გადაჭრა ორნაირად არის შესაძლო: 1) დატოვება მათი ორ მაზრად,—საზღვრების გადამიჯვნის მოხდენით, 2) გაერთიანება მათი ერთ მაზრად.

იმ შემთხვევაში თუ მისაღებად ჩაითვლებოდა ორისავე მაზრის დამოუკიდებლად არსებობა, გეოგრაფიული პირობების მიხედვით ამ მაზრე-

*) უნდა აღვნიშნოთ, რომ პროექტი მაზრის ორად დანაწილებისა (გორის და სურამ-ხაშურის მაზრებად) დაიბადა რუსეთის მფლობელობის დროს, 1905 წლის შემდეგ, როცა აგრარულმა მოძრაობამ გორის მაზრაში მწვავე ხასიათი მიიღო; პროექტი ისახავდა პოლიტიკურ მიზნებს, და განზრახული იყო იმ აზრით, რომ ადმინისტრაციას გაადვილებოდა მოძრაობასთან ბრძოლა. მაზრის ორად გაყოფის პროექტის ახალ ავტორებს, არავითარი ახალი ანგარიშ გასაწევი მოსაზრება არ წარმოუდგენიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ფარგლებში უნდა მოხდეს შემდეგი ცვლილება: 1) ახალციხის მაზრას უერთდება ფოცხოვის რაიონი; ეს კუთხე ტოპოგრაფიულად და სამეურნეო პირობებით განუყოფელია ახალციხიდან; 2) ახალქალაქის მაზრას უერთდება ახლანდელი ახალციხის მაზრიდან—ლეპისის ველი, რომელიც გეოგრაფიულად ნაწილია ჯავახეთის პლატოსი.

ამ გადამიჯვნის შემდეგ ამ მაზრების ტერიტორია და მოსახლეობა შემდეგი იქნება: ახალციხის მაზრა შეიცავს 2.994 კვადრატ კილომეტრს, ხოლო მოსახლეობას 86.332 სულს (1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცნობებით); ახალქალაქის მაზრა საზღვრების ნაჩვენები შესწორებით შეიცავს ტერიტორიას 3.093 კვადრატ კილომეტრს, ხოლო მოსახლეობა ითვლებოდა 1917 წლისათვის 106.905 სული, მაგრამ 1917 წლის შემდეგ ახალქალაქის მაზრის მოსახლეობა საგრძნობლად შემცირდა. მას დააკლდა ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის ანგარიშით, 27.000-მდე ქრისტიანი მოსახლეობა (დაახლოვებით 25.000-მდე სომეხი, 2.000-მდე ქრისტიანი ქართველი), ასე რომ ამ ჟამად ახალქალაქის მაზრის იმ ტერიტორიაზე, რომელიც ზემოდ იყო შემოფარგლული ითვლება არა უმეტეს 75.000—80.000 მცხოვრებისა.

როგორც ვხედავთ მოყვანილი ცნობებიდან, ეს მაზრები ტერიტორიის სივრცით ორჯერ და კიდევ მეტად ნაკლებია ვიდრე დანარჩენი მაზრები აღმოსავლეთ საქართველოსი; ასევე მოსახლეობის მხრითაც იგი დაუვარდება დანარჩენ მაზრებს.

მაგრამ ამ მაზრების მოწყობის საკითხის გადაწყვეტის დროს კიდევ უფრო მეტად ანგარიშ-გასაწევია ამ მაზრების ეკონომიური შემძლეობა. ამ მხრივ ეს მაზრები წინადაც ჩამორჩენილი იყო სხვა მაზრებთან შედარებით, როგორიცაა მაგალითად ამერეთში მაზრები გორისა, სიღნაღისა, ბორჩალოსი. მაგრამ განსაკუთრებით უკანასკნელი წლების მოვლენებმა სავსებით გაანადგურა ამ კუთხის მეურნეობა; საჭიროა არა ერთი-ათწლოვანი სისტემატიური დახმარება ცენტრალური მმართველობისა, რათა აქ მოსახლეობა იმდენად მოღონიერდეს, რომ შესძლოს საკუთარის ძალით დაკმაყოფილება იმ მოთხოვნილებათა, რომელსაც მოითხოვს საერობო თვითმართველობის ჯეროვანი მოწყობა.

ასეთ პირობებში ჩვენ უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაერთიანება მაზრებისა ერთ საერობო და საადმინისტრაციო ერთეულად. ასევე იყო ეს წარსულ საუკუნეშიაც; ახალციხის და ახალქალაქის მხარეები რამდენიმე ათეული წლების მანძილზე შეადგენდენ ერთ მაზრას ცენტრით ქ. ახალციხეში.

ამ ახალ მაზრაში ამნაირად შევა ახალციხის და ახალქალაქის მაზრები და ფოცხოვის უბანი. ცენტრი მოთავსებული იქნება მთელი ამ მხარისა მთავარ ქალაქში—ახალციხეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერიტორია და მოსახლეობა ამ ახალი მაზრისა შემდეგი იქნება: სივრცე 6.087 კვადრატი კილომეტრი, მოსახლეობა 166.237 სული. როგორც ვხედავთ ორისავე მაზრების გაერთიანების შემდეგაც ეს მაზრა ტერიტორიის სივრცით ნაკლებია აღმოსავლეთ საქართველოს ყველა მაზრებზე გარდა თელავისა. მოსახლეობის მხრითაც მას უჭირავს საშუალო ადგილი (გორის, ბორჩალოს, ხოლო იმერეთის მაზრებიდან ქუთაისის, შორაპნის და სოხუმის მაზრების შემდეგ).

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მაზრების გაერთიანების საწინააღმდეგოდ არ ლაპარაკობს არც ეთნოგრაფიული შემადგენლობა მოსახლეობისა. ამ ახალი მაზრის ორსავე ნაწილში, როგორც ახალციხის ისე ახალქალაქის მხარეში, მოსახლეობს ერთი და იგივე მთავარი ელემენტები, მხოლოდ სხვა და სხვა პროპორციით: მუსულმანი ქართველები. სომხები და ქრისტიანი ქართველები *). მაზრის გაერთიანების შემდეგ კი მყარდება ერთნაირი წონასწორობა მოსახლეობის როგორც ეთნოგრაფიული ისე კონფესიური შემადგენლობის მხრით.

შემადგენლობა მოსახლეობისა ამ მაზრაში სარწმუნოების მხრივ შემდეგი იქნება:

1) მთავარი ქრისტიანი ერები (სომხები, ქართველი-ქრისტიანები და რუსები) . . . . . . . . . . 91.959 (55,3%**)
2) მუსულმანი ქართველები . . . . . . . 70.596 (42,5%)
3) სხვები . . . . . . . . . . . . . . . . 3.862 ( 2,2%)

მეორე მხრით დაახლოვებით ასეთივე პროპორცია დამყარდება ქართულ და არა ქართულ ელემენტებს შორის, სახელდობ:

1) ქართველები (მუსულმანები და ქრისტიან.). . 96.596 (58,1%)
2) სომხები . . . . . . . . . . . . . . . 58.467 (35,2%)
3) რუსები . . . . . . . . . . . . . . . 7.492 ( 4,5%)
4) სხვები . . . . . . . . . . . . . . . 3.682 ( 2,2%)

---

*) ახალციხის მაზრაში, ფოცხოვის მიმატებით და ლეპისის გამოკლებით, ითვლება (1917 წლ. სტატისტიკის ცნობების თანახმად) ქართველი მუსულმანები 57.759, სომხები—14.487 (ადმინისტრაციის 1914 წლ. სტატისტიკით მათი რიცხვი მეტია: 23.449), ქართველი ქრისტიანები—1.100-მდე (მათ შორის კათოლიკე ქართველები დაახლოვებით—6.000, მართლმადიდებელი—5.000-მდე). სხვები 3.086 (მათ შორის რუსები 717),—სულ 86 332 სული.

ახალქალაქის მაზრაში, ლეპისის მიმატებით, ითვლება: სომხები—43.980, ქართველი ქრისტიანები—15.000-მდე. (მათ შორის მართლმადიდებელი ქართველები 8.500-მდე, კათოლიკე ქართველები 6.500-მდე), მუსულმანი ქართველები 12.837, სხვები 8.088 (მათ შორის რუსები 6.775)—სულ 79.905 სული.

**) მათ შორის: სომხები—58.467, ქართველი ქრისტიანები—26.000-მდე (მართლმადიდებელი ქართველები 13.500-მდე, კათოლიკე—12.5000-მდე), რუსები—7.492

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ დავამთავრეთ აღმოსავლეთ საქართველოს მაზრების საკითხის განხილვა. დაგვრჩენია წარმოგიდგინოთ შედარებითი ნუსხა ამ ახალი ერთეულების ტერიტორიისა და მოსახლეობისა.

| აღმოსავლეთ საქართველოს ახალი ერთეულები *). | ტერიტორია კვადრატულ ვერსტებით | მოსახლეობა 1917 წ. სასოფლო-სამეურნ. აღწერის მიხედვით | მოსახლეობა 1914 წ. ადმინისტრაციის სტატისტიკით **) | რიგი მაზრებისა ტერიტორიის სივრცის მიხედვ. | რიგი მაზრ. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სიღნაღის მაზრა . . . . . | 7.291 | 105.811 | (121.992) | 1 | 5 |
| 2. გორის მაზრა . . . . . . . | 6.681 | 217.675 | (212.029) | 2 | 1 |
| 3. ბორჩალოს მაზრა. . . . | 6.556 | 184.722 | (180.996) | 3 | 2 |
| 4. ტფილისის მაზრა. . . . . | 6.248 | 13[illegible].253 | (149.758) | 4 | 4 |
| 5. დუშეთ-თიანეთის მაზრა. . | 6.187 | 77.695 | ( 84.691) | 5 | 7 |
| 6. ახალციხე-ახალქალაქის მაზ. | 6.087 | 166.237 | (185.764) | 6 | 3 |
| 7. თელავის მაზრა . . . . . | 4.670 | 97.193 | (116.061) | 7 | 6 |
| 8. ქ. ტფილისი. . . . . . . . | — | — | — | — | — |

შედარება ამ ცხრილისა ძველი ადმინისტრატიული დანაწილების ცხრილთან გვიჩვენებს, რომ ახალი სამაზრო დანაწილებით მიღწეულია ერთნაირი თანაზომიერება მაზრებს შორის ტერიტორიის სივრცისა და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით.

მაგრამ ამასთან ერთად, როგორც ეს გამორკვეული იყო ზევით, ასეთი გადაჰიჯვნა მიუცილებელია დანარჩენი პირობების მიხედვითაც. მას ამართლებს როგორც ეკონომიური ვითარება თვითეული მაზრისა, ისე გეოგრაფიული პირობები.

---

*) ამ ახალ ადმინისტრატიულ ერთეულებს დაერქმევა, „ოლქი", ხოლო თვითეული ამათგანის სახელწოდება ნაწარმოები იქნება ადმინისტრატიული ცენტრის მიხედვით (იხ. ამის შესახებ ქვემოდ, თავი მეხუთე, ტერმინოლოგიის შესახებ). ამნაირად ამ ერთეულების სახელწოდება, ახალი ტერმინოლოგიის თანახმად, იქნება: 1. სიღნაღის ოლქი; 2. გორის ოლქი; 3. ტფილისის ოლქი; 4. ანანურის ოლქი: 5. ახალციხის ოლქი: 6. თელავის ოლქი.

**) ცნობები ადმინისტრაციის სტატისტიკიდან მოგვყავს ერთნაირი კორექტივის გასაწევად. ეს ცნობები გაცილებით ნაკლებ სანდო წყაროს წარმოადგენს ვიდრე ცნობები 1917 წლის სასოფლო—სამეურნეო აღწერისა; მაგრამ საყურადღებოა რომ ამ ცნობების თანახმადაც, მაზრები მოსახლეობის სიდიდე-სიმცირის მიხედვით მისდევენ იმავე რიგს, როგორც ეს ნაჩვენებია სასოფლო-სამეურნეო აღწერით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თავი მეორე

## დასავლეთ საქართველოს მაზრები.

(ყოფილი ქუთაისის გუბერნია და სოხუმის ოლქი).

დასავლეთ საქართველოს ადმინისტრატიული გადამიჯვნის საკითხი ნაკლებ სიძნელეს წარმოადგენს, ვიდრე აღმოსავლეთი საქართველოსი. დასავლეთი საქართველო, ეს კლასიკური ქვეყანა ხეობებისა, თითონ ტოპოგრაფიული პირობების მიხედვით დანაწილებულია ბუნებრივ გეოგრაფიულ პროვინციებად, და არსებული ადმინისტრატიული ერთეულები ცოტა მეტ-ნაკლებობით უდრიან ამ ბუნებრივ გეოგრაფიულ ერთეულებს.

დასავლეთი საქართველო დაყოფილია ამ ჟამად რვა მაზრად. ეს მაზრებია: ქუთაისისა, შორაპნისა, რაჭისა, ლეჩხუმისა, ოზურგეთისა, სენაკისა, ზუგდიდისა და სოხუმისა. ეს მაზრები, — საზღვრების მცირეოდენი შესწორებით იგივეა, რაც ბუნებრივი გეოგრაფიული პროვინციები: ზემო და ქვემო იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმ-სვანეთი, გურია, ზემო და ქვემო ოდიში, აფხაზეთ-სამურზაყანო.

ამ მაზრებიდან არსებითი კამათი შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ ორი მაზრის, სოხუმის და ლეჩხუმის, გამიჯვნის საკითხმა. სოხუმის მაზრა (ოლქი) ტერიტორიის სივრცით, ხოლო ლეჩხუმის მაზრა განსაკუთრებული გეოგრაფიული პირობებისა გამო განსხვავებას წარმოადგენს დანარჩენ მაზრებთან შედარებით. ამიტომ ამ ორი მაზრის კითხვას ჩვენ ცალკე ვეხებით ქვემოდ. საკითხი დანარჩენი ექვსი მაზრისა: ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდისა უდავოდ უნდა ჩაითვალოს: ეს მაზრები, გარდა იმისა რომ თვითეული მათგანი ორგანიული გეოგრაფიული მთლიანობით არის შეკრული, ამასთან ერთად წარმოადგენენ ერთნაირ წონასწორობას ტერიტორიისა და მოსახლეობის მხრით, და ამავე დროს ეკონომიურის შეძლეობის მხრითაც უდგებიან საშუალო ნორმას; ამ ექვსი მაზრის ფარგლებში საჭიროა მოხდეს მხოლოდ შესწორება საზღვრებისა იმ ადგილებში, სადაც დარღვეულია გეოგრაფიული მთლიანობა ამ მაზრებისა.

ეს ცვლილებები, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს მოხსენებული ექვსი მაზრის ფარგლებში, შემდეგია: *)

---

*) ამ ექვსი მაზრის საზღვრების გამიჯვნის დროს, ჩვენ აქ არ ვეხებით სამ პატარა კუთხეს, რომლებიც მდებარეობენ ლეჩხუმის საზღვარზე: გორდის, ჭყვიშის და მექვენას რაიონებს. ეს სამი კუთხე წარმოადგენს ერთნაირ გარდამავალ ზონას ლეჩხუმსა და მოსაზღვრე მაზრებს შორის, და მათ კითხვას ლეჩხუმის მაზრის საკითხთან ერთად განვიხილავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. **ქუთაისის მაზრა**. ქუთაისის მაზრიდან შეუერთდება შორაპნის მაზრას სოფელი სვირი და მისი რაიონი. ეს კუთხე, დაშორებული ქუთაისიდან, ზედვე აკრავს შორაპნის მაზრის ცენტრს ქ. ზესტაფონს, რომლისაკენ მას ბუნებრივი ეკონომიური მიზიდულობა აქვს. ქუთაისის მაზრას მიემატება ოზურგეთის მაზრის ს. ნოღა და ტოლები და სენაკის მაზრის ს. გულეიკარი,

2. **შორაპნის მაზრა.** შორაპნის მაზრას უერთდება ქუთაისის მაზრიდან სვირის რაიონი.

3. **სენაკის მაზრა**. სენაკის მაზრის საზღვარს ზუგდიდის მაზრის მხრივ სრულიად არა-ბუნებრივი მოხაზულობა აქვს. ამ ჟამად ზუგდიდის მაზრაზე მიწერილია მთელი რაიონი, რომელიც ზედვე აკრავს სენაკის მაზრის ცენტრს ქ. ახალსენაკს. ბუნებრივ საზღვრად ზუგდიდისა და სენაკის მაზრებს შორის უნდა ჩაითვალოს ხაზი მდინარე ხობისა მისი შემდინარე მდ. ზანისა, ხოლო ზანას სათავიდან წყალთა-გამყოფი ქედი მდინარეების ხობსა და ტეხურას შორის. საზღვარის ასეთის შესწორებით სენაკის მაზრას შეუერთდება ზუგდიდის მაზრიდან მდინარეების ხობის და ზანას ხაზის მარცხენა ნაპირზე მდებარე რაიონი, ხოლო სენაკის მაზრიდან ზუგდიდისაში გადაირიცხება სოფ. კურზუ *).

4. **ზუგდიდის მაზრა**. ზუგდიდის მაზრის საზღვარი შესწორდება სენაკის მაზრის მხრივ, როგორც ზემო მუხლში არის ნაჩვენები.

5. **რაჭის მაზრის** საზღვრები იმერეთის მაზრების მხრივ უცვლელად რჩება. იმერეთის მხრივ, გორის მაზრიდან, როგორც ეს უკვე გამორკვეული გვქონდა რაჭის მაზრას შეუერთდება სოფლები: წონა, სისპათანი და ერწო, რომლებიც მდებარეობენ ლიხის გადაღმა.

იმ შემთხვევაში, როცა **დვალეთი** საქართველოსთან შემოერთებულ იქმნა, ეს რაიონიც უნდა მიეწეროს რაჭის მაზრას. საქართველოს მაზრებიდან დვალეთი ყველაზე უფრო რაჭას ემხრობა, რომელთანაც იგი შეერთებულია მამისონის უღელტეხილით და სამხედრო-ოსეთის მაგისტრალური გზით. მანძილის სიახლოვითაც იგი ყველაზე უფრო უდგება რაჭის მაზრის ცენტრს, ქალაქ ონს.

6. **ოზურგეთის მაზრა**—რჩება უცვლელად, საზღვრების არსებული შესწორებით სოფელ კულეკრის რაიონთან. უნდა აღვნიშნოთ, საჯავახოს რაიონი, რომელიც ამ ჟამად ქუთაისის მაზრაზეა მიწერილი, გეოგრაფიულად გურიის ნაწილს შეადგენს; ეს კუთხე მანძილითაც უფრო ეახლოვება ოზურგეთს, მაგრამ ვინაიდან ქუთაისთან იგი შეერთებულია პირდაპირი სარკინისგზო მიმოსვლით ამიტომ მისი გადარიცხვა ოზურ-

---

*) სოფლები, რომლებიც მდებარეობენ მდინარეების ხობის და ზანას ორსავე ნაპირზე, ზუგდიდის მაზრის ფარგლებში დარჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეთის მაზრაში, ვიდრე ოზურგეთის რკინისგზა გაყვანილი არ არის, უდროოდ უნდა ჩაითვალოს.

საზღვრების იმ ცვლილების შემდეგ, რომელიც ჩვენ შევიტანეთ დასავლეთ საქართველოს ექვს მაზრაში, ტერიტორია და მოსახლეობა ამ ერთეულებისა შემდეგს სახეს ღებულობს:

| **ახალი ერთეულები*):** | ტერიტორია კვადრატ. კილომეტრებით | მოსახლეობა 1919 წ. სასოფლო-სამეურნ. აღწერით | მოსახლეობა 1914 წ. ადმინისტრაციის სტატისტიკით | რიგი მაზრ. ტერიტორიის სივრცის მიხედვით | რიგი მაზრ. მოსახლეობ. რაოდენ. მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ქუთაისის მაზრა . . . . . | 3.392 | 259.446 | (257.949) | 1 (2) | 1 |
| 2. შორაპნის მაზრა . . . . . | 3.198 | 187.167 | (192.550) | 2 (3) | 2 |
| 3. სენაკის მაზრა. . . . . | 2.380 | 144.282 | (153.850) | 4 | 3 |
| 4. ზუგდიდის მაზრა. . . . . | 2.329 | 115.700 | (115.554) | 5 | 4 |
| 5. ოზურგეთის მაზრა . . . . | 2.214 | 114.892 | (109.045) | 6 | 5 |
| 6. რაჭის მაზრა. . . . . . . | — | — | — | — | — |
| ლეჩხუმის მიუთვლელად. . | 2.981 | 85.584 | ( 89.629) | 3 | 6 |
| ლეჩხუმის მითვლით . . . | 3.581 | 92.584 | ( 96.629) | 1 | 6 |

შედარება ამ მაზრებისა აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებთან, გვარწმუნებს, რომ ასეთი საადმინისტრაციო ერთეულების მიღება დასავლეთ საქართველოსთვის სრულიად ბუნებრივი იქნება.

მაგრამ სანამ ამ მაზრებს შევუდარებდეთ აღმოსავლეთ საქართველოს ერთეულებს, ავიღოთ ჯერ ეს მაზრები ერთმანეთთან შედარებით.

წარმოდგენილი ცხრილიდან ჩვენ ვხედავთ რომ ეს მაზრები ტერიტორიის სივრცის მიხედვით წარმოადგენენ ერთნაირ თანაბრობას.

რაც შეეხება მოსახლეობას, ამ მხრივ, შედარებით სამაზრო ერთეულისათვის მიღებულ საშუალო ნორმასთან (140.000—150.000 სული მცხოვრები), განსხვავებას წარმოადგენენ ქუთაისის და რაჭის მაზრები. მაგრამ მხოლოთ ამ გარემოების გამო გადაჯგუფება მაზრებისა და ახალი ერთეულების შექმნა, რა მოსაზრებაც წარმოდგენილი იყო, ყოვლად მიუღებელი იქნებოდა. გავეცნოთ ამ მაზრებს.

**ქუთაისის მაზრა.** ქუთაისის მაზრაში მცხოვრებთა რაოდენობას სწევს ქ. ქუთაისი. თითონ მაზრის მოსახლეობა თითქმის თანაბარია დანარჩენი

*) ამ ახალი ადმინისტრატიული ერთეულების სახელწოდება, მიღებული ტერმინოლოგიის თანახმად, იქნება: 1. ქუთაისის ოლქი; 2. ზესტაფონის ოლქი; 3. სენაკის ოლქი; 4. ზუგდიდის ოლქი; 5. ოზურგეთის ოლქი; 6. ონის ოლქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაზრების მთელ რიგთან, როგორიცაა მაზრები: გორისა და შორაპნისა, ბორჩალოსი და სოხუმისა, ამიტომაც მაზრის მართვა გამგეობისათვის მოსახლეობის რაოდენობა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს, მით უფრო, რომ მაზრის ტერიტორია შედარებით პატარაა.

დამოუკიდებლად ამისგან გაყოფა ქუთაისის მაზრისა ორ მაზრად, ქუთაისისა და სამტრედიისა, რის პროექტი წარმოდგენილი იყო ადგილებიდან, შეუწყნარებელი იქნებოდა როგორც გეოგრაფიული პირობების მიხედვით, ისე ამ მაზრების ეკონომიური მდგომარეობისა გამო. ჯერ ერთი, სამტრედიის მაზრის შესადგენად უნდა ჩამოგვეჭრა ტერიტორიები სენაკისა და ოზურგეთის მაზრებისათვის, რაც ძალზე შეასუსტებდა ამ მაზრების ეკონომიურ შემძლეობას. მეორედ, ქუთაისიდან უნდა ჩამოგვეშორებინა ხონის რაიონი, რომელსაც მჭიდრო ეკონომიური კავშირი აქვს ქუთაისთან, რაც ხონი-ქუთაისის რკინის-გზის დამთავრების შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდება. მაგრამ თუნდაც მოგვეხდინა ყველა ეს ხელოვნური ცვლილებები, სამტრედიის ახალ მაზრის სახით ჩვენ მივიღებდით ტერიტორიას სივრცით მხოლოდ 1.500 კვადრატ კილომეტრს.

რასაკვირველია ასეთი მცირე მაზრის არსებობას არავითარი გამართლება არ ექნებოდა. შედეგი იქნებოდა მხოლოდ ის, რომ ნაცვლად ერთი ქუთაისის მაზრისა, რომელიც ეკონომიურად შემძლე მხარეს წარმოადგენს, ჩვენ მივიღებთ ორ სუსტ მაზრას, რომელსაც ადგილობრივი მმართველობის მოსაწყობად დასჭირდება მუდმივი დახმარება ცენტრალური მმართველობისა.

**რაჭის მაზრა.** რაჭის მაზრა, რომელიც, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს ერთს მთლიანს და განუკვეთელს გეოგრაფიულ ატომს, იმგვარად არის შეკრული ბუნებრივ ტოპოგრაფიული მთლიანობით, რომ მისი სხვანაირად მოწყობა შეუძლებელი არის. ერთად-ერთი მაზრა რომელსაც იგი უფრო ეხრობა გეოგრაფიულად, არის ლეჩხუმი, მაგრამ გაერთიანება ამ ორი მაზრისა შეუძლებელია, რადგან ეს აუტანელ პირობებში ჩააყენებდა ლეჩხუმის მაზრის მთეულეთის ნაწილებს (სვანეთის კანტონებს). ამაში ჩვენ დავრწმუნდებით ლეჩხუმის მაზრის პირობების გაცნობის დროს, აქ კი ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ ერთ მომენტს, ცენტრის საკითხს. იმ შემთხვევაში, თუნდაც რომ მოსახერხებელი ყოფილიყო რაჭის და ლეჩხუმ-სვანეთის გაერთიანება, ყოველ შემთხვევაში ცენტრი მაზრისა უნდა გადმოგვეტანა გაცილებით უფრო დასავლეთით სოფელ ჭრებალოში, რომ იგი ცოტათი მაინც უფრო დასამხარი ყოფილიყო ლეჩხუმ-სვანეთისათვის. ამით ჩვენ, ჯერ ერთი, უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენებდით ზემო-რაჭას; მაგრამ დამოუკიდებლად ამისგან ცენტრის განოცვლა, და მისი მთებიდან ზა-

რის კარებში ჩამოტანა მიუღებელი იქნებოდა პოლიტიკურის მოსაზრებებითაც. ქ. ონი ერთად-ერთი ადმინისტრატიული ცენტრია საქართველოსი მთეულეთში, და ამასთან იგი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს კარებთან, სწორედ იმ რაიონში, სადაც ქართველი ელემენტი თანდათან სუსტდება და ბარისკენ იხევს. ამიტომ ადმინისტრატიული ცენტრის არსებობა ქ. ონში, რაც ამ პუნქტის განვითარებას და კულტურულად დაწინაურებას ხელს შეუწყობს,—მიუცილებელი საჭიროებაა.

ყველა ამასთან, რაჭის მაზრაში, მთეულეთის მაზრების პირობაზე არც ისე ძალზე მცირე მოსახლეობა არის; ეკონომიურადაც იგი ნაკლებ ჩამორჩენილია ვიდრე მთეულეთის დანარჩენი მაზრები (ლეჩხუმი და ანანური).

ჩვენ ამით ვამთავრებთ დასავლეთ საქართველოს მოხსენებული ექვსი მაზრის საკითხის განხილვას. შესწავლა ადგილობრივი პირობებისა, როგორც გეოგრაფიულის ისე ეკონომიურის ჩვენ გვარწმუნებს, რომ მოხსენებული ექვსი მაზრა უნდა დარჩეს იმ ფარგლებში, რომელიც ზემოდ იყო შემოხაზული.

ჩვენ დაგვრჩენია, ერთნაირი კორექტურის გასაწევად, შევადაროთ დასავლეთ საქართველოს მაზრების ტერიტორია და მოსახლეობა აღმოსავლეთ საქართველოსას. ამ შედარებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ დასავლეთ საქართველოს მოხსენებული ექვსი მაზრა ტერიტორიულად ბევრად ნაკლებია აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებზე; მაგრამ სამაგიეროდ ეს მაზრები დასახლებულია გაცილებით მჭიდროთ, ასე რომ მოსახლეობის რაოდენობის მხრით იგი სავსებით უდგება და კიდეც სჭარბობს იმ ნორმას, რომელსაც წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს მაზრები (აღმოსავლეთ საქართველოს მაზრაზე მოდის საშუალოდ 140.000 სული, დასავლეთ საქართველოზე 150.000). ამ მხრივ საქართველოს ორსავე ნაწილის მაზრებს შორის ერთნაირი წონასწორობა არის.

ასეთივე თანაბრობაა დაცული ეკონომიური შეძლების მხრითაც, რამდენაც რასაკვირველია ამის ნებას გვაძლევს ბუნებრივი ტოპოგრაფიული პირობები. ეს მაზრები ამ მხრივაც უდგებიან ცოტა მეტ-ნაკლებობით საშუალო ნორმას.

დასასრულ ყველაზე მტკიცე საბუთი დასავლეთ საქართველოს წარმოდგენილი საადმინისტრაციო დანაწილებისათვის ის არის, რომ თვითეული მაზრა შეკრულია ბუნებრივი გეოგრაფიული და სამეურნეო მთლიანობით.

გადავდივართ ლეჩხუმის და სოხუმის მაზრების საკითხების განხილვაზე.

### 7. ლეჩხუმის მაზრა.

ლეჩხუმის მაზრაში შედის ამ ჟამად სამი სხვა და სხვა გეოგრაფიული რაიონები. ზემო-სვანეთი, ქვემო-სვანეთი და ლეჩხუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან, ქვემო-სვანეთი, რომელსაც უჭირავს მდინარე ცხენისწყალის სათავეები, ცხენის წყალის-ხეობით პირდაპირ გამოდის ლეჩხუმზე. ამიტომაც ერთ ერთეულად არსებობა მაზრის ამ ორი რაიონისა, ლეჩხუმისა და ქვემო-სვანეთისა, სრულიად ბუნებრივია.

მაგრამ ეს არ ითქმის ზემო-სვანეთზე. ზემო-სვანეთი მდებარეობს ინგურის ხეობაში და იგი მოწყვეტილია ქვემო-სვანეთსა და ლეჩხუმს მაღალი ქედით (ენგურ-ცხენის წყალის წყალთგამყოფი მთების სისტემით), რომელიც ზამთრობით იკეტება და ართულებს ურთიერთობას მაზრის ამ ორ ნაწლს შორის.

ასეთ პირობებში შეიძლებოდა გვეფიქრნა მაზრის ორად გაყოფაზე, და მისი ცალკე ნაწილები შეგვეერთებინა მეზობელ მაზრებთან, მით უფრო, რომ ეს მაზრა სუსტი ერთეულია ეკონომიურად, და ამასთან სხვა მაზრებთან შედარებით მეტად მცირე მოსახლეობას შეიცავს (57.113 სულს 1917 წლ. სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით).

თუ კი ჩვენ მივიღებდით მაზრის ორად გაყოფის საჭიროებას, მაზრა გეოგრაფიული პირობების მიხედვით შეიძლებოდა მოწყობილიყო მხოლოდ შემდეგნაირად: 1) ქვემო-სვანეთი და ლეჩხუმი, რომელიც რიონის მხრით უდგება რაჭას, შეუერთდებოდა რაჭის მაზრას; 2) ზემო-სვანეთი, რომელიც ინგურის ხეობით ეკვრის ზუგდიდის მაზრას. გაერთიანდებოდა ზუგდიდის მაზრასთან.

მაგრამ ადგილობრივი პირობების ახლო გაცნობა გვარწმუნებს, რომ ასეთი გადამიჯვნის მოხდენა შეუძლებელია.

1. ლეჩხუმისათვის, და განსაკუთრებით ქვემო-სვანეთისათვის ქ. ონი როგორც ადმინისტრატიული ცენტრი დიდად უხერხული იქნებოდა როგორც მანძილის სიშორით, ისე უგზოობისა გამო; ხოლო მეორე მხრით, ცენტრის გამოცვლა რაჭის მაზრისათვის და მისი ონიდან სხვა ადგილას გადატანა, როგორც ეს ზემოდ გვქონდა გამორკვეული, უსათუოდ მიუღებელია ყველა პირობების მიხედვით.

2. მაგრამ გაცილებით მეტად მოუხერხებელი იქნებოდა ასეთი გადამიჯვნის მოხდენა ზემო-სვანეთისათვის. მართალია ზემო-სვანეთი ენგურის ხეობით ეკვრის ზუგდიდის მაზრას, მაგრამ ეს ხეობა ზუგდიდისა და ზემო-სვანეთის შორის სრულიად უშენს და უვალ ადგილს წარმოადგენს. ზემო-სვანეთის უკანასკნელი თემიდან-ჩუბუხევიდან, ვიდრე ზუგდიდის მაზრის უახლოეს დასახლებულ კუთხემდე-ჯვარის რაიონამდე, ინგურის ხეობაში თითქმის 60 ვერსის მანძილზე მოსახლეობა სრულებით არ არის, ამავე დროს ენგურის ხეობა ამ ადგილებში დასერილია მთა-გორებით, არც გზებია აქ ამ ჟამად, უფრო სწორეთ სრული უგზობაა.

ამ პირობებით აიხსნება რომ ზემო-სვანეთს ზუგდიდთან გაცილებით ნაკლები ურთიერთობა აქვს ვიდრე ლეჩხუმთან. აღებ-მიცემას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემო-სვანეთი ლეჩხუმთან აწარმოებს, საიდანაც იგი ზაფხულის განმავლობაში ღებულობს საჭირო საქონელს.

3. დასასრულ ზემო-სვანეთის ჩამოშორება ლეჩხუმიდან მიუღებელია იმ მხრივაც, რომ ასეთ შემთხვევაში სვანეთის ნაწილები ზემო და ქვემო სვანეთი ორი სხვა და სხვა მაზრის ფარგლებში მოიქცეოდა. სვანეთის ორივე ნაწილს კი აერთებს ცხოვრების თავისებური პირობები, თავისებური არქაიული საზოგადოებრივი წყობილება და ზნე-ჩვეულებები. ამავე დროს თავისი კულტურული მდგომარეობით სვანეთი განსხვავებას წარმოადგენს მეზობელ მაზრებთან შედარებით.

გათვალისწინება ყველა ამ პირობებისა, რომელზედაც ზემოდ მიუთითეთ გვარწმუნებს, რომ მაზრის ორად გაყოფის პროექტი, მიუღებელია. ლეჩხუმის მაზრა უნდა დარჩეს ცალკე საადმინისტრაციო ერთეულად.

ჩვენ დაგვრჩა შევეხოთ ამ მაზრის საზღვრების შესწორების საკითხსა.

ლეჩხუმის მაზრაში შედის ამ ჟამად ორი პატარა კუთხე: ჭყვიშის და მექვენას რაიონები; ეს ორი კუთხე წარმოადგენს ერთნაირ გარდამავალ ზონას ლეჩხუმის მაზრასა და რაჭა-ქუთაისის მაზრებს შორის და თანაბრად ეხლოვება როგორც ლეჩხუმს, ისე ამ მაზრებს. ლეჩხუმის მაზრის ცალკე მაზრად დატოვება თავისთავად სწყვეტს ამ კუთხეების საკითხს. რაკი ლეჩხუმის მაზრა ცალკე ერთეულად რჩება, შეუძლებელია მისგან ჩამოშორება ამ კუთხეებისა, რადგან ეს ძალზე დასცემდა ამ ეკონომიურად ისედაც სუსტი მაზრის შემძლეობას.

მესამე რაიონი, რომელიც ასეთსავე გარდამავალ ზონას წარმოადგენს ლეჩხუმის სანაპიროზე, არის გორდის რაიონი (კინჩხის სოფლის საზოგადოება ბომბუას-ხიდის ზემოდ), რომელიც ამ ჟამად სენაკის მაზრაზეა მიწერილი. გორდის რაიონი—გეოგრაფიულად და ეთნოგრაფიულადაც ლეჩხუმის ნაწილია. მანძილითაც იგი ბევრად უფრო ახლოა ცაგერთან, და მდებარეობს იმავე, ცხენისწყალის ხეობაში. ამ პირობების მიხედვით შეერთება გორდის რაიონისა ლეჩხუმის მაზრასთან ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს *).

*) ერთად-ერთ დაბრკოლებად ასეთი გადამიჯნვისათვის უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ თუმცა გორდის რაიონი ცხენისწყალის ხეობით პირდაპირ გამოდის ცაგერზე, მაგრამ სამიმოსვლო გზები აქაც ისევე დაუმუშავებელია, როგორც საზოგადოდ მთელ ლეჩხუმის მაზრაში. ყოველ შემთხვევაში გორდის რაიონს ლეჩხუმის სხვა სანაპიროებთან შედარებით ის უპირატესობა აქვს ამ მხრივ, რომ იგი იმავე ცხენისწყალის ხეობაში მდებარეობს, და არავითარი ბუნებრივი ზღუდეები არ გაჰყოფს მას ცაგერიდან, როგორც მაგ. ენგურის ხეობას, და ამიტომ გზების გაყვანა აქ არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. ხოლო სამიმოსვლო გზების გაუმჯობესება ცხენისწყალის ხეობაში ცაგერიდან ბომბუას-ხიდამდე პირველი რიგის საკითხია ლეჩხუმის მაზრის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლეჩხუმის მაზრა ძველს საზღვრებში შეიცავდა ტერიტორიას 4.962 კვადრატ კილომეტრს, ხოლო მოსახლეობას 57.113 სულს. გორდის რაიონის მიმატებით იგი შეიცავს ტერიტორიას დაახლოვებით 5.162 კვადრატ კილომეტრს, ხოლო მოსახლეობას 62.978 სულს (1917 წ. სასოფლო სამეურნეო აღწერით; ადმინისტრაციის 1914 წლის სტატისტიკით 65.568).

როგორც ვხედავთ, ტერიტორიის სივრცითა და მოსახლეობის რაოდენობით ლეჩხუმის მაზრა უახლოვდება მთის მეორე მხარეს, ანანურის (ყოფილი დუშეთ-თიანეთის) მაზრას. ხოლო ორივე ეს მაზრები, შედარებით საქართველოს დანარჩენ მაზრებთან წარმოადგენენ ერთნაირ გამონაკლისს მოსახლეობის სიმცირის მიხედვით, რაც ბუნებრივია, რადგან ორსავე მაზრას ყველაზე უფრო ველური მთიანი ადგილი უჭირავს საქართველოს ტერიტორიაზე. *)

### 8. სოხუმის ოლქი (გაგრის რაიონით).

სოხუმის ოლქი, მას შემდეგ რაც აფხაზეთის კომისარიატი არსებობს, ფაქტიურად გაყოფილია ოთხ მაზრად, რომლებიც უდრიან ძველ საპოლიციო უბნებს. ტერიტორია და მოსახლეობა ამ „მაზრებისა“ შემდეგია:

| | ტერიტორია კვადრატი კილომეტრ. | მოსახლეობა 1917 წ. აღწერით. |
|---|---|---|
| 1. სამურზაყანოს მაზ. . . | 1.320 | 41.952 |
| 2 კოდორის მაზრა . . | 1.024 | 27.498 |
| 3. სოხუმის მაზრა (გარდა ქ. სოხუმისა) . . . . . | 3.839 | 38.129 |
| 4. გუდაუთის მაზრა. . . . | 2.424 | 33.636 |

როგორცა ვხედავთ, ასეთი სამაზრო დანაწილება არსებითად განსხვავდება იმ ნორმისაგან, რომელიც მიღებულია რესპუბლიკაში უმა-

---

მეურნეობისათვის, რადგან ეს გაადვილებს ლეჩხუმის მაზრის ურთიერთობას ხონის რაიონთან, და საზოგადოდ ქვემო იმერეთ—ოდიშის ბართან.

ამიტომაც თუ ამ თავითვე არა, ახლო მომავალში მაინც, გზების გაუმჯობესების შემდეგ, გაერთიანება გორდის რაიონისა ლეჩხუმთან სრულიად ბუნებრივი იქნება. მეორე მხრით შეერთება გორდისა ლეჩხუმთან გააძლიერებს ამ სუსტი მაზრის ეკონომიურ შემძლეობას.

*) სახელწოდება ამ ერთეულისა, მიღებული ტერმინოლოგიის თანახმად, იქნება „ცაგერის ოლქი“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოლქისა ადმინისტრატიული და საერობო ერთეულისათვის. განმარტებაც მეტია, რომ ასეთი მინიატიურული მაზრების არსებობას არავითარი გამართლება არა აქვს, არც ეკონომიური პირობების მიხედვით, და არც სხვა რაიმე მოსაზრებათა გამო.

იმ შემთხვევაში თუ კი საზოგადოდ საჭიროდ იქნებოდა მიჩნეული სოხუმის ოლქის დანაწილება რამდენიმე მაზრად, იგი ბუნებრივი პირობების მიხედვით შეიძლებოდა გაყოფილიყო მხოლოდ ორ სამაზრო ერთეულად:

1) **სოხუმისა**, რომელშიაც შევიდოდა გუმისთის, გუდაუთის და გაგრის უბნები; ცენტრი მოთავსდებოდა ქ. სოხუმში.

2) **ოჩემჩირისა**, რომელშიაც შევიდოდა უბნები სამურზაყანოსი და კოდორისა; ცენტრი მოთავსდებოდა ქ. ოჩემჩირეში,—რომელსაც ორივე უბნის ცენტრალური ადგილი უჭირავს. ტერიტორია და მოსახლეობა ამ მაზრებისა შემდეგი იქნებოდა:

| | სივრცე კვადრატი კილომეტრებით | მოსახლეობა 1917 წ. აღწერით |
|---|---|---|
| 1) ოჩემჩირის მაზრა . . | 2.334 | 69.450 |
| 2) სოხუმის მაზრა (გარდა ქ. სოხუმ სა). . | 6.263 | 71.765 |

აქედან ჩვენ ვხედავთ: სოხუმის ოლქის ორ მაზრად გაყოფის დროსაც,-ეს ახალი მაზრები მაინც მეტად პატარა ერთეულებს წარმოადგენენ და ვერ აღწევენ საშუალო ნორმას; ოჩემჩირის მაზრა ტერიტორიის სივრცით, ხოლო ორივე მაზრა მოსახლეობის რაოდენობით ჩამორჩება თითქმის ყველა მაზრებს, ამ მხრით ეს ორი მაზრა უახლოვდება მხოლოდ ისეთ ერთეულებს, როგორიცაა მაზრები ცაგერისა და ანანურისა,—რომლებიც ჩვენ დავტოვეთ მხოლოდ როგორც აუცილებელი გამონაკლისი, მათი განსაკუთრებული გეოგრაფიული პირობების გამო.

სოხუმის ოლქში-კი ასეთი განსაკუთრებული პირობები არ არსებობს. პირიქით ოლქის ახლო გაცნობა ჩვენ დაგვარწმუნებს, რომ ამ მაზრის ორად დანაწილებას არავითარი გამართლება არა აქვს, თუ კი მხედველობაში მივიღებთ შემდეგს პირობებს:

1) **ტერიტორია.** ტერიტორია სოხუმის ოლქისა, გაგრის რაიონის მითვლით, უდრის 8.607 კვადრატ კილომეტრს. ამნაირად სოხუმის ოლქი ტერიტორიის სივრცით მეტია ვიდრე სხვა მაზრები,—მაგრამ ამ მხრით იგი ბევრად არ განსხვავდება მაზრების მთელი რიგისაგან, როგორიც არის მაზრები: ტაო-არტაანისა (8.188 კვადრ. კილომეტრი),

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიღნაღისა (7.291 კვ. კილ.), ბათომისა (7.118) გორისა, ბორჩალოსი, ტფილისისა და სხვების. ამასთან ერთად მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ სოხუმის მაზრის **ტერიტორია სანახევროდ დაუსახლებელ ადგილებს წარმოადგენს**. მთელი წებელდა და ბზიფის ხეობა თითქმის ერთიანად უშენი ადგილებია. მოსახლეობა არის მხოლოდ ზღვის სანაპირო სექტორზე, რაც შეადგენს ქ. სოხუმის ბუნებრივ ჰინტერლანდს; ხოლო ეს დასახლებული სექტორი, ქ. სოხუმის ბუნებრივი ოლქი, **ტერიტორიის სივრცით გაცილებით ნაკლებია**, ვიდრე საქართველოს დანარჩენი მაზრების უმრავლესობა.

2) **მოსახლეობა**. სოხუმის ოლქში, გაგრის რაიონის მითვლით, მოსახლეობა ითვლება (1917 წლის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკით) 177.839 სული. ამნაირად სოხუმის მხარეში მოსახლეობა ნაკლებია ვიდრე მაზრებში: ქუთაისის და შორაპნისა, გორისა, ბორჩალოსი, ახალციხისა (ახალციხე-ახალქალაქისა). ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც,—რომ სოხუმის ოლქის მოსახლეობას—სწევს ქ. სოხუმი. სოხუმის მიუთვლელად თითონ ოლქის მოსახლეობა არის 141.215 სული (1917 წლის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკით; ხოლო ადმინისტრაციის სტატისტიკით კიდევ ნაკლები: 117.235 სული).

ამნაირად მოსახლეობის მიხედვითაც სოხუმის მაზრის რამდენიმე მაზრად დანაწილებას არავითარი გამართლება არა აქვს.

3) **ადმინისტრატიული ცენტრი**. სოხუმის მხარის მთლიანობა შეკრულია ოლქის ბუნებრივი ცენტრით, ქ. სოხუმით. ქ. სოხუმი მდებარეობს ამ მხარის სწორედ საშუალო ადგილზე, არც ერთი კუთხე ოლქისა არ არის მოწყვეტილი ცენტრს მთებით ან ხეობებით. ამასთან სოხუმის მხარის თვითეულ კუთხეს გაცილებით მეტი ეკონომიური მიზიდულობა აქვს ქ. სოხუმთან, ვიდრე იმ პატარა დაბებთან, რომელიც განზრახულია ამ მინიატიურული მაზრების ცენტრებად.

4) ოლქის ერთ სამაზრო ერთეულად დატოვების დროს თვითეული ეთნოგრაფიული ჯგუფი მიიღებს მონაწილეობას ადგილობრივ მმართველობაში თანაბრად იმ ნამდვილი ძალთა-განწყობილებისა, რომელიც აქ არსებობს. მოსახლეობის შემადგენლობა მთელს სოხუმის მხარეში (ე. ი. სოხუმის ოლქში გაგრის რაიონის მითვლით) შემდეგია:

| | |
|---|---|
| ქართველები (გარდა აფხაზებისა) | 74.846 (42,1%) |
| აფხაზები | 38.121 (21,4%) |
| რუსები | 20.893 (11,7%) |
| ბერძნები | 20.673 (11,7%) |
| სომხები | 18.219 (10,2%) |
| სხვები | 5.087 ( 2,9%) |

აქედან, ჩვენ ვხედავთ რომ სოხუმის მხარის ერთ სამაზრო ერთეულად დატოვება ერთგვარ წონასწორობას დაამყარებს პოლიტიკურად: გარდა იმისა, რომ თვითეული ჯგუფი ამ ინტერნაციონალური მაზრისა მიიღებს მონაწილეობას ადგილობრივ მმართველობის საქმეებში თანაბრად მისი რაოდენობისა, ამავე დროს არც ერთი ჯგუფი არ წარმოადგენს აქ მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას, რომ მან შესძლოს თავისი სურვილი ძალად მოახვიოს თავზე სხვა ეთნოგრაფიულ ერთეულებს.

ყველა ამ პირობების მხედველობაში მიღების შემდეგ არ შეგვიძლია არ დავასკვნათ, რომ სოხუმის ოლქი (გაგრის რაიონით) უნდა დარჩეს ერთ საადმინისტრაციო—საერობო ერთეულად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავი მესამე.

## ბათომის მხარე და შემოუერთებელი ტერიტორიები *).

### 1. ბათომის მხარე.

ბათომის მხარის შესახებ შეიძლება წარმოდგენილ იქმნეს ორი პროექტი:

ა) იგი იყოფა ორ მაზრად—ბათომისა და ართვინისა.—ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს საზღვრების შესწორება ამ მაზრების სანაპირო რაიონებში. სახელდობრ, ეხლანდელი ბათომის ოლქიდან შეუერთდება ართვინისას ორი ხეობა: დევის-წყალისა და ჩხალისა. დევის წყალის ხეობა ზედვე აკრავს ქ. ართვინს, ხოლო ჩხალის ხეობა ეკონომიურად შეკავშირებულია ართვინის მაზრის სანაპირო რაიონთან, მურღულის ხეობასთან.

ტერიტორია და მოსახლეობა ამ მაზრებისა შემდეგი იქნება:

— ბათომისა—ტერიტორია 3.379 კვადრატი კილომეტრი, ხოლო მოსახლეობა 90.202 სული: ართვინისა—3.739 კვადრატი კილომეტრი, მოსახლეობა 74.435 სული.

ბ) მეორე ვარიანტი: ბათომის მხარე რჩება ერთ სამაზრო ერთეულად, რომელშიაც შევა ორივე ოლქი ბათომის მხარისა (ბათომისა და ართვინისა). ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ ამ მეორე პროექტს, შემდეგ მოსაზრებათა გამო:

ჯერ ერთი ტოპოგრაფიული პირობები ბათომის მხარისა არ წარმოადგენს არავითარ განსაკუთრებულ პირობებს, რომ საჭირო იყვეს ასეთი ძალზე პატარა მაზრის შექმნა, როგორიცაა ართვინის მაზრა (ართვინის ოლქში ძველს საზღვრებში—ითვლებოდა მოსახლეობა 68.435 სული; საზღვრების ზემოდ-ნაჩვენები შესწორებით ითვლება 74.435 სული). პირიქით, ბათომის მხარე შეკრულია ბუნებრივი გეოგრაფიული მთლიანობით; ბათომის მხარის ყველა ხეობები რადიუსებით მსგავსად მიემართებიან ქ. ბათომისაკენ, და მაგალითად საკუთრივ ართვინის რაიონი (მთავარი კუთხე ართვინის ოლქისა), არა ნაკლებ ემხრობა ბათომს, ვიდრე თვითონ ბათომის ოლქის რაიონები, მაგ. ზემო-აჭარა.—ამასთან ართვი-

---

*) ეს მოხსენება უკვე დამუშავებული იყო, როცა ბათომის მხარე შემოერთებულ იქნა საქართველოსთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის ოლქი მჭიდრო ეკონომიური კავშირით არის გადაბმული ქ. ბათომთან, და ამ ნიადაგზე ართვინის ოლქის მოსახლეობას უფრო ხშირი ურთიერთობა აქვს მთელი მხარის ამ ბუნებრივ ცენტრთან ქ. ბათომთან, ვიდრე ართვინთან. ამ მხრით ეს უკანასკნელი დაბა ვერასოდეს ვერ გაუწევს ართვინის ოლქის მოსახლეობას ბათომის მაგიერობას, როგორც ეკონომიური და ადმინისტრატიული ცენტრი.—

დასასრულ გაერთიანება ბათომის მხარისა ერთ ადმინისტრატიულ ერთეულად მისაღებია კულტურულის მოსაზრებით.—

ბათომის მხარის გაერთიანებით—ერთ მაზრად, ჩვენ მივიღებთ ნორმალურ სამაზრო ერთეულს: ტერიტორია და მოსახლეობა ამ მაზრისა შემდეგი იქნება: ტერიტორია—7.118 კვადრატი კილომეტრი, მოსახლეობა 164.637 სული. ამნაირად ტერიტორიის სივრცით ეს მაზრა ნაკლებია ვიდრე მაზრები სოხუმისა, არტაანისა და სიღნაღისა, ხოლო თითქმის თანაბარია მაზრების მთელ რიგთან, როგორიცაა: გორისა, ბორჩალოსი, ტფილისისა, ანანურისა, ახალციხისა; მოსახლეობის რაოდენობით მას უჭირავს მეშვიდე ადგილი. (ქუთაისის, გორის, შორაპნის, ბორჩალოს, სოხუმის და ახალციხის შემდეგ *).

### 2) არტაანის და ოლთისის ოლქები.

არტაანის და ოლთისის ოლქებიდან შესდგება ერთი ადმინისტრატიული ერთეული, ცენტრით ქ. არტაანში.

ოლთისის ოლქის შესახებ უნდა შევნიშნოთ, ეს ოლქი რუსეთის მფლობელობის დროსაც ძალზე მცირე ერთეულს წარმოადგენდა; აქ ითვლებოდა მოსახლეობა 37.250 სული. ამნაირად ამ ოლქის არსებობა წარსულშიაც ხელოვნური იყო; მით უფრო მის ცალკე ერთეულად დატოვებას არავითარი გამართლება არა აქვს ამ ჟამად, რადგან აქ მოსახლეობა თითქმის მოისპო. ოსმალეთთან ომის დროს ეს რაიონი როგორც ცნობილია ომის ასპარეზად გადაიქცა, და რუსეთის ჯარმა აქაურობა ისე გაანადგურა, რომ ზოგ კუთხეში მოსახლეობა ალარცკი შერჩენილა. ამის შემდეგ დაწყებულმა მუდმივმა ანარქიამ კიდევ უფრო შეამცირა მოსახლეობის რიცხვი.—ასეთ პირობებში რასაკვირველია მიუცილებელია გაერთიანება ოლთისის ოლქისა არტაანის ოლქთან, მით უფრო—რომ ოლთისის რაიონს ეკონომიურად, (და ეთნოგრაფიულადაც) მჭიდრო კავშირი აქვს არტაანთან.

ტერიტორია და მოსახლეობა ამ ახალი ერთეულისა შემდეგი იქნება: ტერიტორია—8.188 კვადრატი კილომეტრი, მოსახლეობა 101.757

*) სახელწოდება ბათომის მხარისა, მიღებული ტემინოლოგიის თანახმად, იქნება: „ბათომის ოლქი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სული. ამნაირად ეს ერთეული უახლოვდება საქართველოს დანარჩენ მაზრებს, და კერძოდ სამუსულმანო საქართველოს სამაზრო ერთეულებს: ბათომს და ახალციხეს *).

### 3) ზაქათალის ოლქი.

საქართველოს ოლქიდან შესდგება ცალკე სამაზრო ერთეული (ზაქათალისა), გარდა პატარა სექტორის — „წინამინდორისა“, რომელიც შეუერთდება სიღნაღის მაზრას (იხ., ზევით).

ტერიტორიით და მოსახლეობით ზაქათალის მაზრა შედარებით პატარა ერთეულს წარმოადგენს. (ტერიტორია 4.000 კილომეტრამდე: მოსახლეობა—ადმინისტაციის ცნობებით ნაჩვენებია 80.000-მდე სული, მაგრამ ნამდვილად აქ მოსახლეობა გაცილებით მეტი უნდა იყოს: ამ ოცდასამი წლის წინად, 1897 წლის საყოველთაო აღწერის დროს, აქ ითვლებოდა 84.224 სული; ხოლო ამ 23 წლის განმავლობაში რომ ვივარაუდოთ მინამალური მომატება, სულ ცოტა 20% მოსახლეობა აქ 100.000 სულს მაინც უნდა სჭარბობდეს).

ყოველ შემთხვევაში ზაქათალის ოლქის სხვანაირად მოწყობა შეუძლებელია მისი განცალკევებული გეოგრაფიული მდებარეობისა გამო.— ამასთან მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც რომ ზაქათალის მაზრა ეკონომიურად შემძლე ერთეულს წარმოადგენს და მიუხედავად შედარებითი სიპატარავისა, თავისუფლად შესძლებს საერობო მეურნეობის გაძღოლას. **)

---

*) სახელწოდება ამ ერთეულისა, მიღებული ტერმინოლოგიის თანახმად, იქნება: „არტაანის ოლქი“.

**) სახელწოდება ამ ერთეულისა, მიღებული ტერმინოლოგიის თანახმად, იქნება: „ზაქათალის ოლქი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავი მეოთხე.

## შედარებითი ნუსხა

### ახალი ადმინისტრატიული ერთეულების ტერიტორიისა და მოსახლეობისა.

ჩვენ დავამთავრეთ საქართველოს ადმინისტრატიულ ერთეულებად დანაწილების საკითხის განხილვა. საჭიროდ მიგვაჩნია, საზოგადო სურათის დასახატავად, მოვიყვანოთ შედარებითი ნუსხა ახალი ადმინისტრატიული ერთეულების ტერიტორიისა და მოსახლეობისა:

| | ტერიტორია კვადრატი კილომეტრით | მოსახლეობა | რიგი ტერიტორიის მიხედვით (სხვა მაზრებთან შედარებით) | რიგი მოსახლეობის მიხედვით (სხვა მაზრებთან შედარებით) |
|---|---|---|---|---|
| a) ნორმალური სამაზრო ერთეულები ტერიტორიის სივრცისა და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით: | | | | |
| 1. სოხუმისა . . . . . . . . . | 8.606 | 177.829 | 1 | 5 |
| 2. არტაანისა. . . . . . . . . | 8.188 | 101.757 | 2 | 13 |
| 3. სიღნაღისა. . . . . . . . . | 7.291 | 105.811 | 3 | 12 |
| 4. ბათომისა . . . . . . . . | 7.118 | 164.637 | 4 | 7 |
| 5. გორისა . . . . . . . . . | 6.681 | 217.675 | 5 | 2 |
| 6. ბორჩალოსი . . . . . . . . | 6.556 | 184.975 | 6 | 4 |
| 7. ტფილისისა . . . . . . . . | 6.248 | 133.253 | 7 | 9 |
| 8. ახალციხისა . . . . . . . | 6.067 | 166.237 | 9 | 6 |
| b) იმერეთის მაზრები, შედარებით ნაკლების ტერიტორიებით, მაგრამ მჭიდრო მოსახლეობით: | | | | |
| 1. ქუთაისისა. . . . . . . . . | 3.442 | 259.446 | 14 | 1 |
| 2. ზესტაფონისა . . . . . . | 3.148 | 187.167 | 15 | 3 |
| 3. ა. სენაკისა . . . . . . . . | 2.380 | 144.282 | 16 | 8 |
| 4. ზუგდიდისა . . . . . . . | 2.329 | 115.700 | 17 | 10 |
| 5. ოზურგეთისა. . . . . . . . | 2.114 | 114.892 | 18 | 11 |
| c) კახეთის ორი მაზრა, შედარებით ნაკლების ტერიტორიით, მაგრამ რომლების სხვაგვარად მოწყობა შეუძლებელია გეოგრაფიული პირობებისა გამო, და რომელნიც ამასთან ეკონომიურად შემძლე ერთეულებს წარმოადგენენ: | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. თელავისა . . . . . . . . | 4.670 | 97.193 (ადმინისტრაციის ცნობებით 116031) | 11 | 15 |
| 2. ზაქათალისა . . . . . . . . | 4.000-მდე. | 100.000-მდე. | 12 | 14 |
| d) მთის მაზრები, რომელნიც, ბუნებრივია, გამონაკლისს წარმოდგენენ მოსახლეობის სიმცირის მიხედვით: | | | | |
| 1. ანანურისა. . . . . . . . . | 6.187 | 77.695 | 8 | 17 |
| 2. ცაგერისა . . . . . . . . . | 5.162 | 62.978 | 10 | 13 |
| 3. ონისა. . . . . . . . . . . | 3.581 | 92.978 | 13 | 16 |

საკმარისია შევადაროთ ეს ნუსხა ძველი საადმინისტრაციო დანაწილების ნუსხასთან (იხ. სტატისტიკური ცხრილი № 3), რომ დავრწმუნდეთ, თუ რამდენად უფრო რაციონალურია ახალი საადმინისტრაციო დანაწილება ჯერ მარტო იმ მხრივ, რომ აქ მიღწეულია ერთნაირი თანაბრობა ცალკე ერთეულებს შორის ტერიტორიისა თუ მოსახლეობის მხრით, რამდენადაც კი ამის საშუალებას იძლევა ტოპოგრაფიული პირობები.—ძველი ადმინისტრატიული დანაწილებით ჩვენ გვაქს დიდი სამაზრო ერთეულების გვერდით, რომელთა მოსახლეობა 200.000-ს სჭარბობს, მინიატიურული მაზრები 35—40.000 მოსახლეობით, და ასევე მცირე ტერიტორიებით.

მაგრამ გარდა იმისა რომ ახალი ადმინისტრატიული დანაწილებით მიღწეულია ერთნაირი თანაბრობა ცალკე ერთეულებს შორის (რაც საშუალებას მოგვცემს მართვა-გამგეობის გამარტივებისა და ადმინისტრატიული აპარატის ერთგვაროვნობის დამყარებისათვის),—ამავე დროს ამ დანაწილებას ამართლებს—როგორც განმარტებული გვქონდა—ყველა დანარჩენი პირობები, მათ შორის ეკონომიური და პოლიტიკურ-კულტურული.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავი მეხუთე.

## ტერმინოლოგიის საკითხი.

ჩვენ დაგვრჩენია შევეხოთ ერთ წვრილმანს, ტერმინოლოგიის საკითხს.

უმაღლესი ადმინისტრატიული ერთეულის სახელად შეიძლება წარმოდგენილი იყვეს შემდეგი ტერმინები: მაზრა, თემი, მხარე, ოლქი, დეპარტამენტი. ამ ტერმინებიდან ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ ტერმინ „ოლქს“.

ტერმინი „მაზრა“, ჯერ ერთი, დამახინჯებული უცხო სიტყვაა, როგორც ფორმით (სწორი გამოთქმა არის: მარზა), ისე შინაარსით (ნამდვილად იგი ნიშნავს სანაპირო მხარეს); ამასთან იგი იხმარებოდა არა როგორც ცალკე დამოუკიდებელი ადმინისტრატიული ერთეულის სახელწოდება, არამედ უფრო დიდი ერთეულის (გუბერნიის) ნაწილის აღსანიშნავად, ხოლო ის ერთეულები რომლებიც იქმნება ამ პროექტის თანახმად, ცალკე უმაღლეს ადმინისტრატიულ ერთეულებს წარმოადგენენ. არას ვამბობთ იმის შესახებ, რომ ტერმინოლოგია „მაზრა“ — „გუბერნია“ დაკავშირებულია საქართველოს დამონავების ხანასთან, და მარტო ამიტომაც იგი მიუღებლად უნდა ჩაითვალოს. — რაც შეეხება დანარჩენ ტერმინებს, მათ შესახებ უნდა შევნიშნოთ: ტერმინი „თემი“ თავის — თავად შესაფერისი იქნებოდა: ძველ ქართულში იგი უდრის სწორედ იმ ერთეულებს, რომელსაც ეხლა მაზრას ვეძახით; მაგრამ ტერმინი „თემი“ უკვე მიღებულ იქმნა უფრო პატარა ერთეულებისათვის, და ამ მნიშვნელობით საყოველთაო ხმარებაში შევიდა. — ტერმინი „მხარე“ არ გამოდგება როგორც სპეციფიური ტერიტორიული ტერმინი, და ამასთან მისგან ნაწარმოები სიტყვები მეტად უხერხული გამოდის (საოლქო ერობა — მხარის ერობა, სამხარეო ერობა). — დასასრულ ტერმინი „დეპარტამენტი“ ყველაზე სწორი და კარგი ტერმინი იქნებოდა, და თუ ამ ტერმინზე არ შევჩერდით, მხოლოდ იმიტომ, რომ ვფიქრობდით ეს სიტყვა არ გავრცელდებოდა ხალხში.

რაც შეეხება ტერმინ „ოლქს“ მას ყოველ შემთხვევაში ის უპირატესობა აქვს, რომ იგი უკვე გაცოცხლებული სიტყვაა და წარსული საუკუნიდან იგი იხმარებოდა ცალკე დამოუკიდებელ ადმინისტრატიულ ერთეულების აღსანიშნავად. —

გადავიდეთ ცალკე ერთეულების სახელწოდებაზე:

ცალკე ადმინისტრატიული ერთეულებისათვის მიღებული ტერმინოლოგია არავითარ სისტემას არ მისდევს; ზოგ შემთხვევაში სახელწოდება ნაწარმოებია ადმინისტრატიული ცენტრის სახელიდან (გორის მაზრა, ოზურგეთის მაზრა); ზოგჯერ ისტორიული სახელებიდან (რაჭის მაზრა, ლეჩხუმის მაზრა); ზოგჯერ კიდევ სრულიად ხელოვნური სახელია მიღებული (მაგ. შორაპნის მაზრა; ცენტრი არის ქ. ზესტაფონში). ამ შემთხვევაში საჭიროა ერთი წესი მივიღოთ, და ადმინისტრატიული ერთეულების სახელები ვაწარმოოთ ან მისი ცენტრის სახელიდან, ან დავსტოვოთ ისტორიული სახელები ამ ერთეულებისა.— მოგვყავს შედარებისათვის ორივე ტერმინოლოგია:

ა) დასავლეთ საქართველოს ერთეულები:

1. ქუთაისის ოლქი (ქვემო-იმერეთი);
2. ზესტაფონის ოლქი (ზემო-იმერეთი);
3. ონის ოლქი (რაჭა);
4. ცაგერის ოლქი (ლეჩხუმ-სვანეთი);
5. ოზურგეთის ოლქი (გურია);
6. სენაკის ოლქი (ქვემო-ოდიში);
7. ზუგდიდის ოლქი (ზემო-ოდიში);
8. სოხუმის ოლქი (აფხაზეთ-სამურზაყანო);

ბ) აღმოსავლეთ საქართველოს ერთეულები:

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქების სახელებში ორ გამონაკლისთან გვაქვს საქმე:

1) ტფილისის ოლქს არა აქვს ისტორიული სახელწოდება თუ კი ასეთ სახელად არ მივიღებთ ტერმინს: „სამოქალაქო“-ის. ამის შესახებ განმარტება ქვევით.

2) ბორჩალოს ოლქს—პირიქით—არა აქვს ისეთი მნიშვნელოვანი ადმინისტრატიული ცენტრი, რომელსაც შეეძლოს სახელი მისცეს ოლქს: ასეთი სახელები როგორც „რატევანის ოლქი“ (რატევანი ქართული სახელია დაბა ეკატერინენფელდისა), ან — „ქვეშის ოლქი“,—ვფიქრობთ არ გაცოცხლდება. ამიტომ აქ ძველი ტერმინი უნდა დავტოვოთ (ქვემო-ქართლის ოლქი, ან ბორჩალოს ოლქი), როგორც გამონაკლისი.

ამ განმარტების შემდეგ მოგვყავს აღმოსავლეთ საქართველოს ერთეულების სახელები:

1. გორის ოლქი (შიდა-ქართლი).
2. ანანურის ოლქი (მთიულეთი).
3. თელავის ოლქი (შიდა-კახეთი).
4. სიღნაღის ოლქი (ქიზიყი).
5. ახალციხის ოლქი (სამცხე-ჯავახეთი).
6. ბორჩალოს ოლქი (ქვემო-ქართლი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ტფილისის ოლქი (სამოქალაქო)

გ) ბათომის მხარე და შემოუერთებელი ტერიტორიების მაზრები:

1. ბათომის ოლქი (აჭარა-კლარჯეთი)

2. არტაანის ოლქი (ტაო-არტაანი)

3. ზაქათალის ოლქი (საინგილო)

აქ წარმოდგენილი ტერმინოლოგიიდან ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ პირველ წყებას, ქალაქებიდან ნაწარმოებ ტერმინებს, როგორც უფრო მარტივს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტატისტიკური ცხრილები

## განმარტება სტატისტიკური ცხრილების შესახებ.

**ცხრილი № 1.** საქართველოს ახალი ადმინისტრატიული ერთეულების ეთნოგრაფიული შემადგენლობა 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით.

**ცხრილი № 2.** საქართველოს ახალი ადმინისტრატიული ერთეულების ეთნოგრაფიული შემადგენლობა 1914 წლის ადმინისტრაციის სტატისტიკის მიხედვით.

## დამატება სტატისტიკური ცხრილებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განმარტება

## სტატისტიკური ცხრილების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განმარტება

## სტატისტიკური ცხრილების შესახებ.

დეტალური კრიტიკული განხილვა იმ მასალებისა, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ცხრილებს, გამოქვეყნებული იქნება ცალკე ნარკვევში, სადაც წარმოდგენილი იქნება საქართველოს ეთნოგრაფიული სურათი ყველა არსებულ აღწერათა შედარების მიხედვით (1886 წლის კამერალური აღწერისა, 1897 წლის საყოველთაო აღწერისა, 1917 წლის სასოფლო სამეურნეო აღწერისა, ადმინისტრაციის ყოველ წლიური სტატისტიკისა, აგრეთვე ცალკე რაიონების შესახებ არსებულ მასალებისა).

აქ საჭიროდ მიგვაჩნია ყოველ შემთხვევაში მოკლედ უჩვენოთ ამ ცხრილების წყაროები და აღვნიშნოთ ის შესწორებანი, რომელიც შეტანილია მათში.

# ცხრილი № 1.

**(საქართველოს ახალი ადმინისტრატიული ერთეულების ეთნოგრაფიული შემადგენლობა 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით).**

1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით ნაჩვენებია **პირველი (უდიდესი) ნაწილი** ამ ცხრილისა, სახელდობ: მოსახლეობა ტფილისის გუბერნიისა (ლორი-ალავერდის რაიონის გარდა), ქუთაისის გუბერნიისა და სოხუმის ოლქისა.

**მეორე ნაწილი ცხრილისა**, სახელდობ: მოსახლეობა ბათომის მხარისა, არტაანის, ოლთისის, და ზაქათალის ოლქებისა, ლორი-ალავერდის და გაგრის რაიონებისა,— ნაჩვენებია ადმინისტრაციის სტატისტიკის მიხედვით, რადგან ამ მხარეების შესახები 1917 წლის აღწერის ცნობები არ მოიპოვება ტფილისში (ეს მასალები დაგზავნილი იყო აღწერის მოხდენის შემდეგ თავ-თავის რაიონებში და ტფილისში აღარ დაუბრუნებიათ).

ამ ცხრილის ორთავე ნაწილში, არსებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით შეტანილია შესწორებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ცხრილის პირველ ნაწილში**, რომელიც ეხება ტფილისის გუბერნიას და სოხუმის ოლქს, და რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ემყარება 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერას,—შესწორებულია შემდეგი აშკარა შეცდომები:

1. ახალციხე-ახალქალაქის მაზრების მუსულმანი ქართველები ამ ცნობებით ნაჩვენებია „თიურქების" და „თათრების" ჯგუფში, სულ 54.128—სული (სახელდობ: ახალციხის მაზრაში 47.824, ქ. ახალციხეში 97, ქ. აბასთუმანში 11, ახალქალაქის მაზრაში 6.154, ქ. ახალქალაქში 42); ესენი ჩვენ ქართველების ჯგუფში მოვათავსეთ.

2. „ველიდან" (არტაანის მხრიდან) გადმოსული ქართველი კათოლიკები, რომლებიც მოსახლეობენ ახალქალაქის მაზრის შემდეგს სოფლებში: ბავრაში, კარტიკამში, ხულგუმოში, ტურცხში და ვარევანში, სულ 3.709 სული,—ნაჩვენებია სომხებად. ეს შეცდომაც შესწორებულია.

3. რაჭის მაზრაში, ჩასავალის საზოგადოების მოსახლეობა, 3.662 სული, ნაჩვენებია—ქართველებად, ნამდვილად აქ ერთიანი ოსური მოსახლეობაა. გადავიტანეთ ოსების ჯგუფში.

4 სამურზაყანოში, ს. ილორში ნაჩვენებია 1229 აფხაზი, ნამდვილად-კი აქ მოსახლეობენ სამურზაყანოელები (მეგრელები). ეს შეცდომა შევასწორეთ.

5. სამურზაყანოშივე ს. სანავარდოში ნაჩვანებია სომხური მოსახლეობა, 472 სული, ნამდვილად კი აქაც სამურზაყანოელებია. გადავიტანეთ ქართველების ჯგუფში.

6. ახალციხის მაზრაში გამოტოვებულია ს. ვალე, სადაც ითვლება ცოტა მეტნაკლებობით 1500 სული მცხოვრები (ქართველები). ეს დანაკლისი მითვლილია.

7. ახალქალაქის მაზრის მოსახლეობის შემადგენლობა 1917 წლის აღწერის შემდეგ არსებითად შეიცვალა. საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის ანგარიშით ახალქალაქის მაზრას დააკლდა დაახლოვებით 27% ქრისტიანი მოსახლეობისა (27.000 სულამდე); ამ ვარაუდით სომხებს დააკლდა 25.000 სულამდე, ქარველ ქრისტიანებს 2.000-მდე სული. ჩვენს ცხრილში ამისდა მიხედვით შეტანილია შესწორება.

9. დასასრულ, ქ. სოხუმის აღწერა, თანახმად ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის ცნობებისა, ვერ ყოფილა სისწორით ნაწარმოები და დამუშავებული, და საეჭვო მასალას წარმოადგენს; ამიტომ ქ. სოხუმის მოსახლეობა ჩვენ ცხრილში ნაჩვენებია 1917 წლის ადმინისტრაციის სტატისტიკით.

გარდა ზემოდ მოხსენებული შესწორებისა ჩვენს ცხრილში შევიტანეთ კიდევ ორი დამატება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. 1917 წლის აღწერაში არ არის აღნიშნული ჯარში გაწვეულთა რიცხვი.—ეს რიცხვი გამოანგარიშებულ იქნა თანახმად სამხედრო საკრებულოს ცნობებისა (იხ. ამის შესახებ წერილი „საქართველოს ტერიტორიის შესახებ“, კონსტანტინეპოლი, 1918 წელი, გვ. 8, შენიშვნა).

2) 1917 წლის აღწერით ნაჩვენებია საქართველოს ცალკე ერთეულების მუდმივი მოსახლეობა; ხოლო სტატისტიკაში აღნიშნული არ არის ის მკვიდრი მოსახლეობა, რომელნიც აღწერის დროს არ იმყოფებოდენ იმ ადგილას, სადაც მიწერილი არიან, არამედ გასულნი იყვნენ საქართველოს სხვა პროვინციებში—ეს რიცხვი გამოანგარიშებულ იქნა ადმინისტრაციის 1914 წლის ცნობების მიხედვით.

რადგანაც ამ ორი უკანასკნელი პუნქტის შესახები რიცხვები გამოანგარიშებულია მხოლოდ მიახლოვებით, ამიტომ ეს უკანასკნელი რიცხვები აღარ მიგვითვლია ცალკე მაზრების მოსახლეობასთან და აღვნიშნეთ მხოლოდ საზოგადო ჯამში ცალკე მუხლად.

1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა სხვა ადგილებშიაც წარმოადგენს დეფექტებს, მაგრამ რადგან ეს არ სცვლის საგძნობლად სურათს როგორც ცალკე რაიონების მოსახლეობისას, ამიტომ დანარჩენი შესწორებანი აღარ შეგვიტანია.

ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ 1917 წლის სასოფლო—სამეურნეო აღწერის ცნობები, მიუხედავად აღნიშნული დეფექტებისა, მაინც ერთად-ერთ სანდო სტატისტიკურ წყაროს წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის შესახებ, 1897 წლის საყოველთაო აღწერის ცნობებთან ერთად ამ მხრივ საყურადღებოა, რომ როგორც 1897 წლის, ისე 1917 წლის აღწერათა მიხედვით, მას შემდეგ რაც მასში შეტანილია ზემოთ აღნიშნული შესწორებანი, ვღებულობთ თითქმის თანაბარ პროცენტებს ცალკე ეთნოგრაფიული ჯგუფებისას.

გადავდივართ **ცხრილის მეორე ნაწილზე.**

ცხრილის მეორე ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ შეეხება მოსახლეობას ბათომის მხარისას, არტაანის, ოლთისის და ზაქათლის ოლქისას, ლორი-ალავერდის და გაგრის რაიონებისას, და დამყარებულია ადმინისტრაციის სტატისტიკაზე. მათ შესახებ აღებულია შემდეგი მასალები, და ამ მასალებში შესწორებულია შემდეგი აშკარა შეცდომები:

1. **ბათომის მხარე.** ბათომის მხრის მოსახლეობა ნაჩვენებია ომის წინადროის, 1914 წლის ადმინისტრაციის სტატისტიკით. ბათომის მხარის მუსულმანი მოსახლეობა, როგორც ყველა მასალები გვიჩვენებენ, და ისედაც ცნობილია, შესდგება შემდეგი ეთნოგრაფიული ერთეულებისაგან: 1) ქურთები—2000 სულამდე (მოსახლეობენ ჭოროხის შესართავთან, კახაბერის ველზე;) 2) 1000 სულამდე აფხაზი მუჰაჯირები (ემიგრანტები) სოხუმის ოლქიდან (აგრეთვე ჭოროხის შესართავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

